

კულუნი ნუბუბი

მბეზუკობა

საქმობეობი

II



უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XIV

გიულდენშტედტი

ПУТЕШЕСТВИЕ ГЮЛЬДЕНШТЕДТА  
ПО ГРУЗИИ

ТОМ II

Немецкий текст с грузинским переводом издал и исследовал  
Г. Гелашвили

JOHANNES GULDENSTAEDTIUS  
PEREGRINATIO GEORGICA

Tomus alter

Textum germanicum cum conversione georgica edidit  
commentariisque instruxit

G. Gelašvili

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია


*ი. ნ. კობახიძე*

**გიულენზფელდის  
მოგზაურობა საქართველოში**

ტომი მორე

გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა  
და გამოკვლევა დაურთო

**გ. გელაშვილმა**





მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთუჩიძე, ს. შაუხრიშვილი,  
გ. წიკითელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია.

დასავლეთ-ევროპული წყაროების  
სერიის რედაქტორი

სიგ. შაუხრიშვილი

# შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . .	07
შესავალი . . . . .	09—026
<b>პიულდენფთადის მოგზაურობა საქართველოში: ტექსტი და</b> თარგმანი . . . . .	1—386
<b>კავკასიის ფიზიკური ცოდნისათვის</b> . . . . .	3—39
ჩრდილო არარატის მთიანეთი (11). სამხრეთი კავკასიის მთისწინეთი (15). სამხრეთი კავკასიის კირჭვიანი ქედი (25). სამხრეთის ფიჭალიანი ქედი (29). ყინულიანი ალპების ქედი (33). ჩრდილოეთის ფიჭალიანი ქედი (33). ჩრდი- ლოეთის მთისწინეთი (35).	
<b>კავკასიის მთიანეთის პოლიტიკური გეოგრაფიისა და ხალხთა შეს- წავლისათვის</b> . . . . .	41—115
I. პართული პროვინციები . . . . . 43	
II. პროვინცია ბასიანია ანუ ბასიანა . . . . . 43—47	
III. აფხაზი, აფხაზეთი ან აბაზა . . . . . 47—53	
IV. პროვინცია ჩეჩენეთი ანუ ჩეჩენები . . . . . 53—57	
V. პროვინცია ოსეთი და ოსები . . . . . 57—67	
VI. პროვინცია შისთეთი . . . . . 67—79	
VII. პროვინცია ლეკეთი და ლეკები . . . . . 79—105	
VIII. თათარი ხალხები . . . . . 105—115	
ყუმუხელი თათრები (109). ნოღელი თათრები კასპიის ზღვაზე (111). ყუ- ბანზე მყოფი ნოღელი თათრები (113). დიდი ნოღაური ურდოები (113). ტე- რეკემენული ან ტრუხმენული თათრები (115).	
<b>პიულდენფთადის მოხსენებები საივპეკატორო მცნეიერებათა აკა- დემიისადმი</b> . . . . .	117—205
XIII მოხსენება (119). XIV მოხსენება (121). XVI მოხსენება (123). XVII მოხსენება (123). XVIII მოხსენება (125). XXII მოხსენება (127). XXIII მოხსენება (129). XXIV მოხსენება (131). XXV მოხსენება (139). XXVI მოხსენება (143). XXVII მოხსენება (151). XXVIII მოხსენება (155). XXIX მოხსენება (161). XXX მოხსენება (189). XXXI მოხსენება (197). XXXII მოხსენება (197).	
<b>შუბანის შენაკადების შესახებ</b> . . . . .	207—223
პროვინცია ბასიანის შესახებ (217—223).	
<b>[რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა თურქეთთან ომის პერიოდში]</b>	223—231
მოხსენება აკადემიისათვის დანიშნულ კომისიისადმი . . . . . 231	

მეოთხე უიზიკური ექსპედიციის შემოსავლისა და დანახარჯების სია . . . . .	233—267
(მეოთხე წლისა—233—249; მეხუთე წლისა—251—267).	
საქართველოში და მთაში მოგზაურობისთვის წამოღებული წვრილ- მანები . . . . .	267—269
ავადმყოფთა სია, რომელთაც თბილისში ჩავატარებ სამედიცინო დას- მარება . . . . .	271—277
<b>კავკასიაში გავრცელებული ცხოველები და მცენარეები . . . . .</b>	<b>278—289</b>
[გიულდენშტედტისეული საქმიებალი] . . . . .	290—295
[სხვადასხვა მასალები გიულდენშტედტის აკვირვებებში] . . . . .	296—302
ყიზლარის კომენდანტის მომართვები (296—298). გიულდენშტედტის წერილი სოლომონისადმი (298). სოლომონის ორი წერილი გიულდენშტედტისადმი (299—300). წარწერები (300—301). ქართული ბრუნება (301). ქართული ანბანი (302).	
<b>კავკასიაში ხმარებული ენების შედარებითი სიტყვათა-კონები . . . . .</b>	<b>303—376</b>
1. ტრთველური ენები . . . . .	304—314
2. ლეკური და მისი მონათესავე ენები . . . . .	315—329
3-4-5. შაჰიშუმუხური, ანღური და აკუზაური ენები . . . . .	330—339
6. მიცჯაგური დიალექტები (ჩეჩნური, ინგუზური, თუშური) . . . . .	340—348
7-8. შაბარდოული და აბაზური ენები . . . . .	349—357
9. ავღანური, დიგორული და ოსური ენები . . . . .	358—367
ენა, რომელიც იხმარება საქართველოში . . . . .	368—372
ენა, რომელზეც ლაპარაკობენ პროვინცია სამეგრელოში . . . . .	372—375
<b>დამატებები . . . . .</b>	<b>376—386</b>
მედიკამენტებისა და სანელებლების სია, რაც თბილისში იშოვება (376—379). გიულდენშტედტის წერილი ბაკმაისტერს (380—386).	
<b>საქმიებები . . . . .</b>	<b>387—419</b>
გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი (387—408). პირთა სახელები (408—413). საგანთა საძიებელი: პირველი ტომისთვის (413—416); მეორე ტომისთვის (417—419).	
<b>Addenda et corrigenda . . . . .</b>	<b>420</b>

## ენიანიზმობა

თუ 1962 წელს გამოცემული „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“ (პირველი ტომი) ძირითადად ემყარებოდა გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურებს, წინამდებარე მეორე ტომი, ვარდა ორი თავისა, შეიცავს გიულდენშტედტის ჯერ გამოუქვეყნებელ ხელნაწერ მასალას (იმ მოხსენებების ჩათვლითაც, რომლებიდანაც პალასს ესა თუ ის ცნობა ამოუკრეფია) ორიგინალის სახის დაცვით. ამ მასალის შესახებ იხ. ქვემოთ შესავალი.

ჩვენი გამოცემის მასალათა ანალიზი საკმაოდ ვრცელ გამოკვლევას მოითხოვს, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა გამოცემის ისედაც ძალზე გაზრდის გამო. ამდენად დავკმაყოფილდით მოტანილი მასალისთვის მიმოხილვითი და განმარტებითი ხასიათის შესავლის დართვით\*.

მართალია, გამოცემას ეწოდება საქართველოში მოგზაურობა, მაგრამ პასში მოთავსებულია მრავალი ცნობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა შესახებაც. პირველად ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა პალასის გამოცემის შესაბამის თავებიდან ამოგვეღო ის ადგილები, სადაც აღნიშნული იყო საქართველოს ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ამა თუ იმ ხალხებთან, მაგრამ ეს დაარღვევდა ტექსტის წყობას, რადგან მივიღებდით უსისტემო ამონაწერებს. ამის გამო ჩვენ მთლიანად ამოვიღეთ პალასის გამოცემიდან თავი ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური გეოგრაფიის შესახებ. ამასთან, რადგან პალასი ერთ ჯგუფში ათავსებს მთელ იბერიულ-კავკასიურ ენებს, ამდენად შესაბამის „მოხსენებებიც“ ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ დაფურთხებულ გამოცემას (მხოლოდ ხელი არ გვიხლია ჩრდილოეთ კავკასიაში მოგზაურობის დღიურებისთვის, რაც უკვე ძალზე შორს წაგვიყვანდა).

შედარებით პირველ ტომთან, წინამდებარე ნაშრომის მომზადებისას მეტ სინდნეებს წავაწყდით. ეს გამოწვეულია იმით, რომ მეორე ტომი გაცილებით მრავალფეროვან მასალას შეიცავს:

1. თუ პირველ ტომში ჩვენ მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებთან გვქონდა საქმე, ახლა დასადგენი გაგვიხდა მთელი ჩრდილო კავკასიის, კავკასიის მთიანეთის დასახლებული ადგილების სახელწოდებანიც. ეს დადგენა გაგვიძნელდა იმიტაც, რომ სხვადასხვა რუკებისა და ცნობების მონაცემები (ტრანსკრიფცია ამა თუ იმ სახელისა) ერთმანეთს ხშირად არ ემთხვევა (მაგ.: გიულდენშტედტისეული Singiser ასეა აღნიშნული სხვაგან: სინდისარ, სანდისარ, Синдизар, Soudschisar; ან კიდევ გიულდენშტედტის Zozolte—წოწოლდა, ცოცოლტა, Zozoldo და სხვა). ართულებდა საქმეს ისიც, რომ გიულდენშტედტი ზოგჯერ ერთი მხარის სოფელს მეორე მხარეში ასახელებს. თუ როგორაა შესწორებული სახელები, იხ. ქვემოთ, შესავალი.

\* ნარკვევი ცალკე წერილის სახით იქნება გამოქვეყნებული. ამიტომ აქ გიულდენშტედტის ცნობათა შეფასებას, მათი სანდობა-მცდარობის მიუხედავად, გვერდს ვუვლით—(გ. გ.).

გეოგრაფიულ სახელთა დადგენისას ვიყენებდით რუსულსა და ქართულ რუკებს (ძველსა და ახალს), ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს, ჩვენი წინა გამოცემის საძიებელს, ასევე სტატისტიკური აღწერილობის მასალებს (ძველსა და ახალს), სახელდობრ:

ა) Административно-территориальное деление Дагестанской АССР. На 1 июля 1955 года. Махачкала, 1955.

ბ) Северо-Осетинская АССР. Адм.-территориальное деление. На 1 июля 1952 г. Дзауджикау, 1953.

გ) საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ. 1961.

დ) საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწ. II, დემოგრაფია.

ე) Gottfried Merzbacher, Aus den Hochregionen des Kaukasus, I—II, Leipzig, 1901 (ამ წიგნს დართული რუკებით).

ვ) П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. III. СПб 1869 (საძიებლები).

ზ) Д. Д. Пагирев, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края, Тифлис 1913.

ჩრდილო-კავკასიური და დაღესტნური სახელების დადგენისას დახმარება აღმოგვიჩინეს: პროფ. ზურაბ ანჩაბაძემ, დოც. ტოგო გუდავამ, დოც. დავით იმნაიშვილმა, ისტ. მეცნ. კანდ. გიორგი თოგოშვილმა. ამდენად თავს მოვალედ ვთვლით ხსენებულ პირთ უღრმესი მადლობა მოვახსენოთ.

2. გარკვეული სიძნელები გვქონდა გეოლოგიურ-მინერალოგიურ ტერმინთა დადგენისას. ამ საქმეში დაუზარებლად გვეხმარებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი გურამ ღონლაძე, რომელსაც ღრმა მადლობას ვუძღვნით.

3. ბოტანიკური ტერმინების დადგენისას ჩვენ ძირითადად ორი ლექსიკონით ვსარგებლობდით:

ა) ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ. 1949.

ბ) რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან, ტფ. 1884.

თუ როგორაა ტერმინთა შესაბამი თარგმანი შესრულებული ჩვენ მიერ, იხ. ქვემოთ შესავალი (გვ. 020—021).

4. წიგნს დართული აქვს მედიკამენტთა და სანელებლების სია, რომელთა თარგმანი ჩვენ არ შეგვისრულებია.

5. ასევე<sup>1</sup>არ დაგვიზუსტებია ამა თუ იმ ენის ლექსიკურ მონაცემთა სისწორე.<sup>2</sup>

ამგვარი რთული სამუშაო ზოგიერთ უზუსტობათაგან, რა თქმა უნდა, დაზღვეული არ იქნება. ჩვენ ყოველ სასარგებლო შესწორებას მადლობით მივიღებთ.

როგორც პირველი ტომის შესავალში იყო აღნიშნული, გიულდენშტედტის მოგზაურობის მასალები ინახება ქ. ლენინგრადში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივში, აგრეთვე სალტიკოვ-შიჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში (ერთი ნაწილი ლინგვისტური მასალისა — ადელუნგის არქივში). ჩვენი გამოცემის მეორე ტომში შესული მასალა არქივის შემდეგ ფონდებში მოიპოვება: Разряд I, опись 100, №№ 2, 4, 5, 12, 19, 20, 21;

Фонд 3, опись 33, №№ 4, 5, 6.

ჩვენს გამოცემაში შეიძლება განვასხვაოთ ორი ნაწილი\*. ერთი, ესაა პალასისეული გამოცემის სამი თავი, რომლებიც პირველ ტომში არ შევიდა, თუმცა ეხებიან საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიას, გეოლოგიურ და მინერალოგიურ დაკვირვებებს; აგრეთვე — კავკასიის მთიანეთის პოლიტიკურ გეოგრაფიას და კავკასიის (ძირითადად საქართველოს) ფლორასა და ფაუნას.

მეორე ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს დანარჩენი მასალა: მოხსენებები, ხარჯთაღრიცხვის რეგულები, კორესპონდენციები, ლექსიკური მასალები და სხვა. ამ ორი ნაწილის განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ პირველი (იგულისხმება ტექსტები) მთლად ამოღებულია პალასისეული გამოცემიდან და ისინი, ზოგი ადგილის გარდა, ხელნაწერის მიხედვით არაა გასწორებული. მეორე ნაწილი კი წარმოადგენს ხელნაწერი დედნის უცვლელ გადმოღებას (ამა თუ იმ ნაწილის გამოტოვებით). უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი (და არა ყველა) ადგილი პირველი და მეორე ნაწილისა შინაარსობლივად ემთხვევიან ერთმანეთს (რა თქმა უნდა, არა მთლიანად), მაგალითად: ცნობები აფხაზეთის, ბასიანეთის შესახებ, ზოგი მინერალოგიური დაკვირვება; ასევე თითქოსდა გაუმორებულია პირველ ტომში მოცემული თბილისის აღწერა და თითო-ოროლა ადგილი.

ეს შემდეგითაა გამოწვეული: პალასი, რასაკვირველია, მასალას თავისი გამოცემისათვის იღებდა არა მარტო „დღიურებიდან“, არამედ გიულდენშტედტის „მოხსენებებიდანაც“ ავსებდა მათ. შეიძლება მკითხველმა გვისაყვედუროს, რომ უმჯობესი იყო მოგვეტანა პალასისეული მასალა და შეგვესწორებინა ის დედნით, როგორც ეს პირველ ტომში ხდებოდა; მაშინ სათანადო „მოხსენებების“ მოტანას აზრი აღარ ექნებოდა. ან პირიქით, გამოგვეტოვებინა პალასისეული ტექსტი; ეს კი გამოცემას არასრულს გახდიდა. ჩვენს მიზანს შეადგენდა სრული სახით მოგვეცა მოგზაურის „მოხსენებები“ (რომლებშიც დაცულია ცნობები საქართველოს შესახებ) და აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ცხოვრების თუ

\* „ნაწილი“ პირობითი ტერმინია.



ენის სათანადო სურათიც გვეჩვენებინა (რამდენადაც ამას ჩვენი გამოცემა საჭიროებდა), ამიტომ ამ ხელნაწერი მასალის მიხედვით აღარ შეგვისწორებია პალასისეული ტექსტი, რადგან მკითხველი განსხვავებას მათ შორის ადვილად დაინახავს. ჩვენ მხოლოდ შევასწორეთ ცნობები ქისტეთისა და ლეკეთის შესახებ, ისიც არა „მოხსენებებიდან“ ან „დღიურებიდან“, არამედ მოგზაურის ცალკეული საგანგებო ჩანაწერებიდან, რომლებიც ზემონახსენებ არც ერთ მასალაში არ იყო. ამდენად, თუ ზოგი რამ გამეორების ელფერს ატარებს, ეს დაშვებულია სრულიად შეგნებულად.

რაც შეეხება ლექსიკურ მასალას, პალასის გამოცემასთან დართული სიტყვათა-კონები ჩვენ შევაჯერეთ დედანს, შევასწორეთ და შევავეთ. ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

ამრიგად, მეორე ტომში შევიდა პალასისეული გამოცემის სამი თავი: კავკასიის ფიზიკური ცოდნისათვის (ჩვ. გამოც. 2—39 გვ.), კავკასიის მთიანეთის პოლიტიკური გეოგრაფიისა და ხალხთა შესწავლისათვის (გვ. 40—115), კავკასიაში გავრცელებული ცხოველები და მცენარეები (გვ. 278—289) და ხელნაწერი დედნისეული მასალა: მოხსენებები, ხარჯთაღრიცხვის რვეულები, ლექსიკური მასალა, კორესპონდენციები, მიმოხილვითი ხასიათის წერილები, სხვადასხვა სახის სიები და სხვა მრავალი.

\* \* \*

თუ როგორია სხვაობა პალასის მიერ გამოცემულ ტექსტსა და ხელნაწერს შორის\*, შეიძლება ვთქვათ იგივე, რაც პირველ ტომში:

1) გამოტოვებულია სიტყვები და წინადადებები, რომელთა აღდგენაც ტექსტს უფრო ნათელს და სრულს ხდის. მაგალითად: ა) mit diesen durch die Sprache verbunden, aber übrigens abgesondert die Dörfer<P. (და ჩამოთვლილია სოფლები—გვ. 98).

ბ) Die Nation Kasikumuch soll an 20.000 Mann stark sein<P. (გვ. 100).

გ) Die an den übrigen in die Sundsich fallenden Flüssen wohnenden Völker machen eine andere Partie, die gegen diese ist, und die die Tscheschensche pflegt genent zu worden<P. (გვ. 76) და სხვა.

2) გამოტოვებულია სიტყვები და წინადადებები, ან შეცვლილია ერთი მეორით, თუმცა აზრი არ მახინჯდება. მაგ.: ა) სხვა დანარჩენი, რაც მმართველობის, რელიგიის, საქმიანობის, კვებისა და ჩაცმის შესახებ იყო დიდოელებთან ნათქვამი, შეიძლება ამ მხარეზეც გავიმეოროთ. გ ი უ ლ. | ისინი დიდოელთაგან არც ჩაცმით განსხვავდებიან და არც წყობილებითა და ყოფაცხოვრებით, მოკლედ, არაფრით. პ ა ლ. (გვ. 97).

ბ) იქ ლაპარაკობენ ლეკურად, ანწუხში გავრცელებულ დიალექტზე, პ ა ლ. | ამ მხარის ენა იგივეა, რაც ქარისა და ანწუხის, გ ი უ ლ. (გვ. 83).

3) პალასი სტოვებს სიტყვებს, უშვებს შეცდომებს, ფაქტს ამახინჯებს. მაგ.: მის ვაჟს და ტახტის შემკვიდრეს ჰქვია უმახანი. ცოლი ახლანდელი ავარხანისა არის ქალიშვილი უცმეი ან უსმეი ხანისა, სულთან ბეგისა. პ ა ლ. | ავარ

\* ვგულისხმობთ პალასისეული ტექსტის დედნის მიხედვით შესწორებულ ნაწილს (გ. გ.).

ხანის მეორე ცოლია უცემი სულთანბეგის ქალი; პირველი ცოლისგან [ჰყავს] ვაჟი უნახანი, გიულ. (გვ. 83).

4) ცვლის ასოებს საკუთარ სახელებში (შეიძლება ეს ზოგჯერ კორექტურული შეცდომაც იყოს):

- ა) Zobotl', G.] Zobol, P. (გვ. 82);
- ბ) Gogotl' G.] Gogelt, P. (გვ. 82);
- გ) Schigimu, G.] Sesigimu, P. (გვ. 84);
- დ) Chuprib, G.] Chubrit, P. (გვ. 92);
- ე) Kumaimi, G.] Kimaimi, P. (გვ. 102);
- ვ) Chur, G.] Churt, P. (გვ. 102).

5) ერთ სიტყვას მეორით ცვლის, რაც ზოგჯერ შეიძლება შეცდომაც იყოს. მაგ.: ა) An dem Ursprunge der Koisu, G.] An Koisu hinab an einem besondern Arm, P. (გვ. 98).

ბ) 1000 Familien, P.] 10.000 Mann, G. (გვ. 98).

გ) 2000 Familien, P.] 3000 Mann, G. (გვ. 100);

დ) ყველაზე ქვემო ლეკური სოფელია კოისუზე კოსტეკს ზემოთ, პალ.] ყველაზე ბოლო სოფელი კოსტეკს მერე, კოისუს დასავლეთით. გიულ. (გვ. 85). ყველა შესწორება ჩვენი გამოცემის სქოლიოებშია მითითებული\*.

\* \* \*

ჩვენს გამოცემაში სიტყვების მართლწერა დატოვებულია დედნისეული. შეიძლება შემდეგი ნიმუშების მოტანა: ა) სიტყვაში გამოტოვებულია ასო **h**. მაგალითად: erfaren (=erfahren, გვ. 130)\*\*, Anzal (=Anzahl, გვ. 132), Vermerung (=Vermehrung, გვ. 136); Jar (=Jahr, გვ. 124); führende (=führende, გვ. 124); ser (=sehr, გვ. 124), Einwoner (=Einwohner, გვ. 192) და სხვა.

ბ) **ck**-ს მაგიერ ნახმარია **k** ან **kk**: Endzwek (გვ. 160), zurük (გვ. 122), Brükke (გვ. 124), bedekket (გვ. 124), erstekt (გვ. 190), Rükreise (გვ. 128) და სხვა.

გ) **B**-ის ნაცვლად **s**-ია გამოყენებული: Ausflus (გვ. 124), Erlaubnis (გვ. 128), Entschlus (გვ. 142), Grundris (გვ. 160), Fus (გვ. 124), Flus (გვ. 188) და სხვა.

დ) **tz** შეცვლილია **z**-ით ან **zz**-ით: besezzet (გვ. 124), jezt, lezte (გვ. 122), Schuzz (გვ. 130), nuzzen (გვ. 130), Vorsazz (გვ. 124) და სხვა.

ე) **nn**-ის მაგიერ **n**-ს ხმარობს: genant (გვ. 224) და სხვ.

ვ) **mm**-ს ცვლის **m**-ით: einnimt (გვ. 190), samlen (გვ. 188) და ა. შ.

ზ) **ä** შეცვლილია **e**-ით: erwente (=erwähnte, გვ. 126), Grenze (=Gränze, გვ. 144) და სხვა.

თ) **dt**-ს მაგიერ წერია **t**: Hauptstat (გვ. 126).

\* ნიშნით „<“ აღნიშნავენ ნაკლებობას.

\*\* გვერდების მითითება არ ნიშნავს, თითქოს მხოლოდ ამ გვერდზე გვხვდებოდეს მსგავსი შემთხვევა.

ხშირად ნახმარია სიტყვათა ძველი ფორმები: gelebet (გვ. 130), wirklich (გვ. 142), onmächtig (გვ. 182), mögte, zwo, gieng, Gebürge, vorigiä-rige (გვ. 124), izt (გვ. 128), seyn (გვ. 128), etwan, bedekket (გვ. 124), verfertigt (გვ. 126), ongeachtet (გვ. 126), fürtrefliche (გვ. 128) და სხვა, რომელთა პარალელურად ახალი ფორმებიცაა ხშირად გამოყენებული.

დაშვებულია აგრეთვე გრამატიკული შეცდომებიც, არაა დაცული შესაფერი ბრუნვები. ჩვენ ისინი უმეტესად კვადრატული ფრჩხილებით აღვადგინეთ. მაგ.: mit einige[n]. 1000 Mann (გვ. 228); mit dem mingrelische[n] Dadian და სხვა.

კიდევ მრავალი სხვადასხვა მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა სიტყვათა მართლწერიდან, მაგრამ მათ მკითხველი თვითონაც შეამჩნევს და ამავე დროს საკმაოდ დაწვრილებითაა მსგავსი ნიმუშები ჩვენი გამოცემის პირველ ტომშიც მოყვანილი.

\* \* \*

მოკლედ შევებოთ, თუ რას წარმოადგენენ წინამდებარე ტომში შესული მასალები. მიყვებით იმ რიგს, როგორც ისინი გამოცემაში არიან დალაგებული; თუმცა შეიძლებოდა მათი უფრო მკირე რაოდენობის, მაგრამ მოზრდილ ჯგუფებად გაერთიანება.

თავი „კავკასიის ფიზიკური ცოდნისათვის“ მთლიანად გადმოღებულია ზალასის გამოცემიდან (იხ. Reisen, I, გვ. 433—458; ჩვენი გამოცემის 2—39 გვ.). ჩვენ იგი დედნის მიხედვით არ შეგვისწორებია. ამ თავში გიულდენშტედტი დაწვრილებით განიხილავს კავკასიის მთელი მთიანეთის ფიზიკურ ბუნებას. ამას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ის ხომ კიდევ ამბობს: „იგი (კავკასია—გ. გ.) აქამდე ძირითადად ისევე უცნობი იყო, როგორც განთქმული. რადგან მას პირველი ადგილთაგანი ეკავა ჩემი ფიზიკური ექსპედიციის გეგმაში, რამდენადაც შეეძელი მოვიარე, რაც შემეძლო მე თვით ჩავინიშნე, სადაც არა—ვეკითხებოდი, ცნობები შევაგროვე და შევადარე“ (იხ. ჩვ. გამოც. გვ. 3). გიულდენშტედტი, თუ არ ჩავთვლით კავკასიონის ზოგად დასურათებას. კავკასიის მთიანეთის დაწვრილებით აღწერას იწყებს სამხრეთ კავკასიის მთებიდან და, მთავარი ქედის გადავლით, ჩრდილო მთიანეთით ასრულებს, რადგან, როგორც თვით ამბობს, ასე მიდიოდა მისი სამოგზაურო გზა საქართველოდან რუსეთისკენ.

უნდა ვთქვათ, რომღეს თავი გვაძლევს შემაჯამებელ სურძთს კავკასიის მთიანეთისას, <sup>კ</sup>თორემ გიულდენშტედტი ყოველ ნაბიჯზე აღწერდა თავის დღიურებში ამა თუ იმ მთასა და ველს, მდინარესა თუ საბადოებს. ახლა ეს ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი.

ხსენებულ თავში პირველად მოცემულია კავკასიონის მთავარი ქედის ზოგადი სახე, მისი მდებარეობა, გადაჭიმულობა, სიგანე. წარმოდგენილია სურათი მისი ქედების, მწვერვალების, მცენარეული საფარის და შემადგენელი ქანებისა. ასევე ზოგადაადაა გამოყოფილი მთავარი ქედის მიმდებარე მთისწინეთები (ჩრდილოეთისა და სამხრეთის), მდინარეთა ხეობებით და მინერალებით.

ზოგადი ცნობების შემდეგ გიულდენშტედტი იწყებს აღწერას თავისი გეგმის მიხედვით (ე. ი. სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ). პირველად მოგზაური ენება არარატის ჩრდილო მთისწინეთს; მის გავრცელებას. ძალზე დაწვრილებითაა აღწერილი არარატის მთიანეთის მინერალები, საბადოები მათი მღებარეობით, სიმძლავრით, მნიშვნელობით, სარგებლიანობით (განსაკუთრებით სპილენძის, რკინის და ვერცხლის საბადოები, თუმცა სხვაც ბევრია ჩამოთვლილ-გამოკვლეული).

არარატის ჩრდილო მთისწინეთიდან გადავდივართ კავკასიის სამხრეთ მთისწინეთზე. აქ გამოყოფილია ორი ქედი: კირქვიანი და ფიქალიანი. აღწერილია მათი ქანები, მცენარეული საფარი, მათზე მიმავალი მდინარეები, საზღვრები ქედების გავრცელებისა; ასევე დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მინერალოგიურ დაკვირვებებს.

კავკასიის სამხრეთი მთისწინეთი ებჯინება ყინულიან ქედს, ე. ი. მთავარ ქედს, რომლის გრანიტული აღნაგობა და პიტალო კლდეები, თუ ღრმა ხევიები ზოგადი აღწერისას იყო დასურათებული.

მთავარი ქედი ჩრდილოეთით გადადის ჩრდილოეთის ფიქალიან ქედში. აქაც გიულდენშტედტი არ იშურებს ძალ-ღონეს, რათა აღწეროს ქისტეთისა, თუ ოსეთის ტერიტორიებზე, ან სხვაგან ამ მთებში არსებული მინერალები თუ მადნეული. სსენებული ჩრდილოეთის ფიქალიანი ქედი დაბლდება ჩრდილოეთ მთისწინეთად; აქაც გვაქვს მსგავსი ცნობები მისი ქანების, მიმართულების შესახებ. აქვეა აღწერილი მასში გადმომდინარე თბილი სამკურნალო წყლებიც, რასაც გიულდენშტედტი საერთოდ დიდ ყურადღებას აქცევს და თავის „მოხსენებებსა“ და „დღიურებში“ დიდ ადგილსაც უთმობს.

როგორც ვხედავთ, ეს თავი წარმოადგენს წმინდა გეოგრაფიულს, გეოლოგიურსა და მინერალოგიურ აღწერას კავკასიისას. რა თქმა უნდა, მეტი ყურადღება მინერალებზეა გამახვილებული, რადგან გიულდენშტედტისადმი მიცემული ინსტრუქციიდანაც (იხ. ჩვ. გამოც. გვ. 145—147) ნათლად ჩანს, თუ რა ინტერესები ჰქონდა რუსეთის საიმპერატორო კარს, როცა ამ ექსპედიციას გეგმავდა. ანდა, რატომ დასჭირდებოდა რუსეთის მთავრობას ჩრდილო ოსეთში მომავალი სამუშაოების ჩასატარებლად ყიზლარში ციმბირის მემლაროეთა რაზმი გადმოყვანა და სპეციალური რუკებითაც კი აღეჭურვა.

აქვე ვგსურს დავსძინოთ, რომ მსგავს აღწერილობას, მხოლოდ უფრო შემოკლებულს და კონკრეტულს, შეიცავს გიულდენშტედტის XXIX მოხსენება საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი გაგზავნილი (იხ. ჩვ. გამოც. გვ. 160—187).

\* \* \*

მეორე თავი — „კავკასიის მთიანეთის პოლიტიკური გეოგრაფიისა და ხალხთა შესწავლისათვის“, ასევე მთლადაა ამოღებული პალასის გამოცემიდან (იხ. Reisen, I, გვ. 458—502; ჩვენი გამოცემის გვ. 40—115). ამ თავში დედნის მიხედვით (არა მოხსენებებისა და დღიურების მიხედვით) შესწორდა მხოლოდ ქისტეთისა და ლეკეთის შესახები ცნობები (იხ. ზევით შესავალი).



ხსენებული თავის შესავალში გიულდენშტედტი იხილავს კავკასიელთა წარმომავლობას, მათს ავტოხთონობას, წყობას. იგი დასძენს, რომ მთიანი მდებარეობა და კავკასიელთა უმეცრება, მათი ენათა და მხარეთა სიმრავლე იყო მიზეზი, რომ მათ შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენო და თვით, ინსტრუქციის შესაბამისად, ამ სიბნელეში გარკვეული შუქი შეიტანა. „ენობრივი მონაცემებით, დაკვირვებით, ფიზიკური მსგავსებით, ისტორიულ გარემოებათა შედარებით“ გიულდენშტედტმა მთელი ეს ხალხები რვა ძირითად ჯგუფად, მხარედ გააერთიანა. (რა თქმა უნდა, საფუძვლად მან ენა დაუდო ასეთ დაყოფას; ენათა შესახებ იხ. ქვემოთ). ეს ნაწილებია: 1) ქართული პროვინციები\*, 2) ბასიანეთი, 3) აფხაზეთი და აფხაზები, 4) ჩერქეზეთი და ჩერქეზები, 5) ოსეთი და ოსები, 6) ქისტეთი, 7) ლეკეთი და ლეკები, 8) თათარი ხალხები (ყუზუხელი თათრები, ნოღაელი თათრები—კასპიის ზღვაზე და ყუბანზე, თურქმანი თათრები).

ჩამოთვლილი მხარეები ცალცალკეა წიგნში დახასიათებული და აღწერილი. ამ ქვეთავებში განხილულია შესაბამი ქვეყნის (პროვინციის) საზღვრები, მდებარეობა; ამ პროვინციათა სახელწოდებების წარმომავლობა; დაკავშირებულია ზოგი მათგანი ძველ სახელებთან (მაგ.: ჩეგემი—ჯიქია, ციხია; ჩეგემელები—ცეხენები, ჯიქები; აფხაზეთი—აბაზჯია). ასევე ნათქვამია, თუ როგორ იწოდებიან ეს ქვეყნები სხვადასხვა მხარეთა ენებზე. განხილულია ზოგი ხალხის წარმომავლობა (მაგ.: ოსები—ყივჩაყები ან უეები არიან და სხვა).

გიულდენშტედტი ყველგან აღნიშნავს, თუ რომელი მხარე ვისი მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა წინათ და ახლა (მაგ.: ბასიანეთი, ქისტეთი, ოსეთის ნაწილი, აფხაზეთი, ლეკეთის ნაწილი ემორჩილებოდნენ ქართველ მეფეებს, ხოლო ამჟამად ზოგი თურქებს, ზოგი ყაბარდოს, ზოგი თურქმან ხანებს, ზოგიც რუსებს ექვემდებარებიან, ან საერთოდ თავისუფლები არიან). აღნიშნულია ამ მხარეთა ურთიერთობის ხასიათი—ერთმანეთთან, სხვა ქვეყნებთან (ხარკის გადახდა, მძევლების მიცემა, ქვეშევრდომობა). დაცულია ცნობები ხალხთა სარწმუნოების შესახებ, თუ როგორი სარწმუნოება ჰქონდათ ადრე (ქრისტიანული—ბასიანელებს, აფხაზებს, ქისტებს და ა. შ.), რით შეიცვალეს ამჟამად (ან მაჰმადიანობით, ან სრულებით ურელიგიოდ ცხოვრობენ) და ძველის რა გადმონაშთები შემორჩათ (ეკლესიები, მარხვა და სხვა).

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ენებს ამა თუ იმ მხარისა, მათს ნათესაობას და კავშირს ერთმანეთთან და სხვა ენებთან, გავრცელებულ დიალექტებს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). გიულდენშტედტი აღწერს კავკასიის ხალხთა მეურნეობის ყოველგვარ დარგს, მესაქონლეობას, საძოვრებს; მათ მიერ წარმოებულ ვაჭრობას, სავაჭრო საქონელს, მადნების დამუშავებას და სხვა.

ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს მხარეთა და სოფლების ჩამოთვლა-აღწერას. ყოველი პროვინცია დაყოფილია გარკვეული რაოდენობის და სახელწოდების მხარეებად. აქაც მოცემულია მათი მდებარეობა, მათში შემავალი ქალაქები და სოფლები, ციხე-სიმაგრეები; აღწერილია დასახლებისა და საც-

\* რადგან საქართველოს ცალკე გამრკველვა აქვს მიძღვნილი იმავე ტომში, ამიტომ ამ თავში მხოლოდ ჩამოთვლია ქართული სამეფო-სამთავროების.

ხოვრებელი სახლების ტიპები. ძალზე ხშირად ამა თუ იმ სოფელთან ან მხარესთან ვხვდებით ამ ადგილის მოსახლეობის რაოდენობის ჩვენებას (ხან კომლების მიხედვით, ხან სულადობრივ), აგრეთვე ლაშქრის გარკვეული რაოდენობის გამოყვანის უნარიანობას. დასახელებულია მხარეთა და ცალკეულ სოფელთა მთავრებისა და ბატონების გვარები, მათი ნათესაობა-წარმომავლობა (მუდავია, შარაშა, კუნდუხოვი, ჩევი და სხვა მრავალი).

მოცემულია ამა თუ იმ ხალხის წოდებრივი დაყოფა, სოციალური ფენების ჩამოთვლა. იძლევა გიულდენშტედტი სხვადასხვა ხალხთა ცხოვრების ხასიათის დასურათებას (მომთაბარეა თუ მკვიდრი).

არ ავიწყდება მოგზაურს სხვადასხვა მხარეთა წეს-ჩვეულებების, ჩაცმადახურების, ხასიათისა და ბუნების, მათში გავრცელებული პირთა სახელების ზოცემა. ზოგჯერ კი გიულდენშტედტი გადმოცემებსაც იხსენებს (კედლის არსებობა დერბენტიდან კახეთამდე, ბოჭმელი ძმები და სხვა).

ასეთი მრავალფეროვანი მასალის მომცველია დასახელებული მეორე თავი. ამდენად, თუმცა ის ატარებს პოლიტიკური გეოგრაფიის სახელს, მასში აგრეთვე ძალზე ბევრი საინტერესო რამ შეიქლება. მოინახოს მეურნეობის, ეკონომიკის, სოციალური წყობის ამსახველი, ენათმეცნიერთა და ეთნოგრაფთათვის საყურადღებო.

\*  
\*  
\*

ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი გიულდენშტედტის მასალებში „ღლიურებთან“ ერთად უკავიათ მის „მოხსენებებს“ (Berichte) საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი. გიულდენშტედტი სისტემატურად აწვდიდა აკადემიას ცნობებს მის მიერ მოვლილი მხარის შესახებ, ექსპედიციის მიმდინარეობის, მოძიებული მასალის, ნახულის თუ გაგონილის შესახებ; ატყობინებდა თავისი მუშაობის გეგმებს. ზოგიერთ მოხსენებას კი გიულდენშტედტი თან ამა თუ იმ მხარის რუკასაც ურთავდა.

გიულდენშტედტის 42 მოხსენებიდან საქართველოს შესახებ გარკვეულ ცნობებს შეიცავენ XIII—XXXII მოხსენებები. ამდენად ჩვენც ისინი მოვიყვანეთ. ეს მოხსენებები დაცულია არქივის შემდეგ ფონდში: Фонд 3, опись 33, № 5—6\*. გარდა საქართველოსი მათში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების შესახებაცაა უხვი მასალები\*\*.

საერთოდ „მოხსენებები“, რომელთაც, ასე თუ ისე, დღიურის ელფერიც დაჰკრავთ, წარმოადგენენ გიულდენშტედტის საქმიანობის ერთგვარ შემაჯამებელ საბუთებს. „მოხსენებებში“ დაცულია ყოველგვარი ხასიათის ცნობები: გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, მინერალოგიური, ბოტანიკური, ენათმეცნიერული, ისტორიული ხასიათისა. ამ „მოხსენებებშია“ შენახული ისეთი მასალებიც, რაც სხვაგან არ არის; მაგ.: ქართლის ცხოვრების ნუსხის შექმნის, მისი თარგმნის საქმის მოწესრიგების შესახებ (იხ. XXXI მოხსენება, გვ. 197 და მოხსენება, გვ. 231); რუსული კორპუსის მოძრაობის ზოგი დეტალის შესა-

\* № 6-ში დაცულია ამ მოხსენებათა შავი ცალები.

\*\* ეს „მოხსენებები“ ამ სახით პირველად ჩვენს გამოცემაში ქვეყნდება (გ. გ.),



ნებ; ქართული სამეფო შტოს რუსეთში მცხოვრები ზოგიერთი ცოცხალი წარმომადგენლის მოღვაწეობის შესახებ (არქიმანდრიტი პორფირი); რუსული მემლაროელების ყიზლარში გადმოყვანის შესახებ (გვ. 149); გიულდენშტედტისადმი აკადემიის მიერ მიცემული ინსტრუქციის საიდუმლო მხარის შესახებ (გვ. 145—147). „მოხსენებებშია“ დაცული ექსპედიციის წევრთა დახასიათებაც. მათშია აგრეთვე გიულდენშტედტისეული გეგმა ჩრდილოეთ კავკასიაში ახალშენთა სასახლეო ხაზის შექმნის თაობაზე, რომელთა მოსახლეობის ერთი ნაწილიც ქსნის და არაგვის, ასევე ხევის მცხოვრებ ქართველებს უნდა შეეღვინათ, როგორც მაღალი სამეურნეო კულტურის მქონე ხალხს.

უნდა ითქვას, რომ თავისი დამაჯამებელი ხასიათით ყველაზე ვრცელია XXIX, XXX და XXXII მოხსენებები. პირველში მოცემულია საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის შუა ნაწილის (ოსეთის, ქისტეთის, მცირე ყაზარდოს) გეოგრაფიულ-მინერალოგიური აღწერა, მეორეში—ლეკეთისა და კასპიის ზღვის პირას მცხოვრები თათრული მხარეებისა, მესამეში კი—ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთი ნაწილისა (აფხაზეთი, ჩერქეზეთი, ყაზარდო და ნოღაელი თათრები ყუბანზე). ამრიგად, ეს სამი მოხსენება მოიცავს მთელს კავკასიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. განსაკუთრებით იზრდება XXIX და XXXII მოხსენებათა მნიშვნელობა, რადგან მათ დართული აქვთ სათანადო ვრცელი რუკებიც; პირველს საქართველოსი (არა მთელი ქვეყნის) და კავკასიის ყელის შუა ნაწილისა, ხოლო მეორეს—მდინარე ყუბანის და მდ. მანიჩის მიდამოებისა აზოვის ზღვამდე, სავარაუდო ახალშენთა ადგილების აღნიშვნით. (რუკების შესახებ იხ. ქვემოთ გვ. 025—026).

როგორც აღვნიშნეთ და როგორც ეს ჩვენს გამოცემაში მოტანილი ამონაწერებიდანაც ჩანს, XXXII მოხსენება თავისი მნიშვნელობით უტოლდება XXIX მოხსენებას. გამოცემის გაზრდის გამო ჩვენ მხოლოდ ზოგი ადგილი მოვიყვანეთ ამ მოხსენებიდან, თუმცა წიგნს ხსენებული რუკა დაეურთეთ. თვით მოხსენებას (სრული სახით) ცალკე წერილს მივუძღვნით.

კიდევ ერთხელ დავსძენთ, რომ, მართალია, „მოხსენებათა“ ბევრი მონაცემი ზევით აღნიშნულ პალასისეული გამოცემის პირველ თავებს ემთხვევა. მაგრამ ეს კი არ ამძიმებს გამოცემას, არამედ ვფიქრობთ, რომ ბევრ საკითხს უფრო ნათლად აშუქებს.

\* \* \*

მომდევნო თავი ჩვენი გამოცემული ტექსტისა არის „ყუბანის შენაკადების შესახებ“\*. მართალია, ცალკე ქვესათაურითაა გამოყოფილი „პროვინცია ბასიანიის შესახებ“, მაგრამ ისიც ეკუთვნის წინას, მისი უშუალო გაგრძელება და ნაწილია (იხ. გვ. 206—223).

ეს თავი არ წარმოადგენს მოხსენებას აკადემიისადმი, მაგრამ ისიც მოვათავსეთ ამ რიგში, რადგან მასში ძალზე უხვი და კონკრეტული ცნობებია დაცული ჩრდილო კავკასიის ხალხთა პოლიტიკური გეოგრაფიის შესახებ. ეს თავი შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს აღნაგობის მიხედვით.

\* ეს თავი ამ სახით პირველად ჩვენს გამოცემაში ქვეყნდება (გ. გ.).

პირველში დაწვრილებითაა აღწერილი არა მარტო უშუალოდ ყუბანის შენაკადები, არამედ მთელი მისი აუზი, შენაკადთა შენაკადებითაც. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ნაწილს იმდენად, რამდენადაც, გარდა მდინარეთა დასახელებებისა, მითითებულია, თუ რომელ მათგანზე რომელი მხარე ძვეს, რომელი ხალხი ცხოვრობს; ჩამოთვლილია მათზე მდებარე დიდი თუ მცირე სოფლები, დასახელებული არიან ამ სოფლებისა და მხარეების მმართველი ბატონები (ძირითადად აფხაზები და ჩერქეზები).

მეორე ნაწილი უფრო მეტ საკითხებს ეხება. აქ განხილულია ყუბანელი თათრების, აფხაზეთის, ჩერქეზეთის და ბასიანეთის საერთო მდგომარეობა: მათი მხარეები, მხარეთა სახელწოდებების დადგენა-შედარება, საზღვრები, გავრცელების არეები, ენა, რელიგია, საქმიანობა, მოსახლეობა, დასახლების ტიპები; ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ჩვენი გამოცემის მეორე თავის შესახებ იყო ნათქვამი.

\* \* \*

„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა თურქეთთან ომის პერიოდში“ წარმოადგენს ნამდვილი ისტორიული ხასიათის მიმოხილვით წერილს\*. ხსენებულ სათაური ამ წერილს ჩვენ მივეცი (დედანში ის უსათაუროა), რადგან იგი სავესებით შეეფერება მასში გადმოცემულ ფაქტებს.

გიულდენშტედტი იცავს ფაქტების თანმიმდევრულ რიგს, როგორც მათ ადგილი ჰქონდათ სინამდვილეში. ამ წერილში გადმოცემულია ამებერ 1768 წლიდან 1772 წლამდე. იწყება წერილი ფაბულოვის (=ხვაბულოვი) ელჩობით ერეკლე-სოლომონის კარზე, რომელიც პასუხი იყო მიტროპოლიტ მაქსიმე აბაშიძის პეტერბურგში ელჩობაზე. დასახელებულია ამ ელჩობათა მიზანი და მიზეზები. ამ ელჩობას მოსდევს საქმეთა რწმუნებულის მურავიოვის (=მოურავოვი) და რუსული კორპუსის გამოგზავნა საქართველოში ტოტლებენის მეთაურობით. საკმაოდ ვრცელადაა აღწერილი რუსული კორპუსის და მისი სარდლის მოქმედება საქართველოში, ურთიერთობა ერეკლე-სოლომონთან, ზოგიერთი უთანხმოება, ერთობლივი მოქმედება თურქთა წინააღმდეგ; შეფასებულია სარდლობის მოქმედება. ნათქვამია ფოთის უნაყოფო ალყის შესახებ, გურია-სამეგრელოს მთავართა დამოკიდებულების შესახებ. ტოტლებენს ცვლის სუხოტინი. ნაჩვენებია ახალი სარდლის უშედეგო მოღვაწეობაც; შემდეგ, კორპუსის უკან გაწვევა და ამის მიზეზები. ბოლოს, აღნიშნულია იმპერატორის რესკრიპტების გამოგზავნის შესახებ ერეკლე-სოლომონისადმი, მათი მომავალი საქმიანობისა და რუსეთთან ურთიერთობის განსაზღვრის შესახებ. ნათქვამია აგრეთვე ლევან ბატონიშვილისა და პატრიარქ ანტონის რუსეთში ელჩობის თაობაზე, ამ ელჩობის მიზეზებზე.

ამ მიმოხილვით წერილს ახლავს ზოგიერთი უზუსტობა. მაგალითად: ტოტლებენთან ერთად წამოსული რუსეთის საქმეთა რწმუნებული იყო არა

\* ეს წერილი წინამდებარე ტომში ქვეყნდება პირველად (გ. გ.).

მურავიოვი, არამედ მოურავოვი; აგრეთვე არაა ზუსტად აღნიშნული ფაბულა-ვის ჩამოსვლის და დაბრუნების თარიღები; ან კიდევ — ტოტლებენი ერეკლეს აღოს მინდვრიდან არ გაჰყოლია მაშინვე თბილისში, არც ცხინვალში შეხვედრია სოლომონს. ეს შეხვედრა მოხდა იმერეთის საზღვარზე 26 სექტემბერს. აქედან კი ტოტლებენი სოლომონთან ერთად შორაპნის ციხის ასაღებად გადავიდა, მაგრამ უშედეგოდ; 13 ოქტომბერს ის მოეცალა შორაპანს და ცხინვალში დაბრუნდა\* (და არა ისე, როგორც წერილშია ნათქვამი, თითქოს არავითარი ოპერაციის ჩატარებას ადგილი არ ჰქონოდა).

მიუხედავად ზოგიერთი ასეთი უზუსტობისა, ხსენებულ წერილს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კვლევისას და ამდენად მეტად საყურადღებო მასალას წარმოადგენს, რა თქმა უნდა, კრიტიკული მიდგომის და სხვა პარალელურ ცნობებთან შეჯერების შემდეგ\*\*.

გავიმეორებთ, რომ ამ ცნობათა ვრცელ ანალიზს არ ვიძლევი, რადგან არ გვსურს შესავლის გეგმას გადავუხვიოთ, რაც გამოცემის გაზრდას გამოიწვევდა.

\* \* \*

ჩვენს გამოცემაში სათანადო ადგილი უჭირავს გიულდენშტედტის „მეოთხე ფიზიკური ექსპედიციის შემოსავლისა და დანახარჯების სიას“ (მეოთხე და მეხუთე წლებისა — იხ. ტექსტი გვ. 232—267).

ხარჯთაღრიცხვის რვეულები შედგენილია ცალკე წლების მიხედვით. იგი წარმოებულია როგორც გერმანულ, ისე რუსულ ენებზე. რუსული წარმოადგენს გერმანულის თარგმანს. ეს რვეულები დაცულია არქივში: Фонд 3, опись 3, № 4.

როგორც სათაურიდან ჩანს, ხარჯთაღრიცხვის რვეულებში შეტანილია როგორც ექსპედიციის შემოსავალი, ისე დანახარჯები. ჩვენი გამოცემის გაფართოების თავიდან ასაცილებლად შემოსავლების აღრიცხვა გამოგტოვეთ, რადგან მათში მაინც და მაინც საყურადღებო მასალა არ არის. ამდენად წინამდებარე ტომში წარმოადგენილია დანახარჯების სია ამ ხარჯთაღრიცხვის რვეულებიდან, ამასთან მხოლოდ იმ წლებისა, როდესაც გიულდენშტედტი საქართველოში იმყოფებოდა (ხარჯთაღრიცხვის რვეულებიც ჩვენს გამოცემაში ქვეყნდება პირველად).

მიუხედავად გარეგნული ერთფეროვნებისა, ხარჯთაღრიცხვის რვეულები შეიცავენ სხვადასხვა საინტერესო ცნობებს, რაც სხვა მასალებში არ გვხვდება (რა თქმა უნდა, ყველა პიროვნება თუ ნივთი, დასახელებული რვეულებში,

\* შტრ. А. Цагарели, Грамоты, I, СПб, 1891, გვ. გვ. 68, 443.

\*\* ზოგიერთი საკითხი განხილული გვაქვს ჩვენი გამოცემის პირველ ტომში (იხ. გვ. 084—086); აგრეთვე ცალკე წერილიც გვაქვს დამზადებული.

გვხვდება ფასებთან ერთად, თუ ვინ რით დაასახუქრა, ან რაში რამდენი ფული გადაიხადა).

რვეულებში დასახელებული არიან ექსპედიციის თარჯიმნები სხვადასხვა ენებისა (იქნებიან ეს კაზაკები თუ ყაზბეგის ვაჟი; განსწავლულნი თუ შემთხვევითი პირნი). ძალზე თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ კრეფდა გიულდენშტედტი ცნობებს მხარეთა და ენათა შესახებ, ვინ იყო ერთი ნაწილი ამ ცნობათა მიმწოდებლებისა (ავარელი, ანწუხელი, დიდოელი, ჭარელი, კაპაისაელი, ხუნძახელი ლეკები; ოსი, თუში, მეგრელი, სვანეთის ერთ-ერთი მამასახლისი, თათარი, ყაზახ-ბორჩალოს მხარიდან). აღსანიშნავია, რომ ყველა აქ ჩამოთვლილ პირებს გიულდენშტედტი საქართველოში შეხვდა.

დასახელებულია აგრეთვე მეფისა თუ ერისთავის ზოგი მოხელე, რომლებიც ემსახურებოდნენ გიულდენშტედტს (მეფის და ერისთავის იასაულები, ყაზბეგი; აგრეთვე იმერეთის სამეფო კარის თავადები — წერეთელი და სხვები. ამათგან ზოგი გამყოლია, ზოგი მზრუნველი, ზოგი დამცველი, ზოგიც მომმარაგებელი).

ხარჯთაღრიცხვის რვეულებში ვხვდებით ცნობას ქართული ქრონიკის (ქართლის ცხოვრების) ნუსხის შექმნის შესახებ თბილისში (გვ. 257), აგრეთვე ცნობას გიულდენშტედტის არჩევის შესახებ პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსად (გვ. 247). ჩამოთვლილია ექსპედიციის ყველა წევრის ხელფასები.

ყველაზე მოზრდილი და მთავარი ადგილი რვეულებში უკავია ფასების აღნიშვნას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობა-ეკონომიკის დონის გასაგებად. ჩამოთვლილია უამრავი საქონელი თუ ნივთი, პროდუქტი თუ იარაღი, ნედლეული თუ ნაწარმი, ცხოველი, თევზი თუ მარცვლეული. რაც სხვადასხვა დროს შეიძინა ექსპედიციამ თავისი საჭიროებისთვის — იქნება ეს თბილისში თუ იმერეთში, სტეფანწმინდასა თუ რაჭაში (მაგალითად: ცხენები, უნაგირები, ცხენის აკაზმულობა, ნალები, თოკები, თოფრაკები, ქეჩის კარავი, სპილენძის თუნგი, ყუთები, მატყლი, ტყავი, ღვინის სპირტი, ლუქი, თეთრი ქაღალდი, თოფის წამალი, ტყვია, გვარჯილა, ღვინის მარილი, თოფი, შეშა, სანთლები, თივა, ქერი, შვრია, პური; აგრეთვე — ფიჩხული, ორაგული, ლოქო, ჭანარი, მურწა, გელაქნური; ანდა — ჯეირანი, შველი, ვარეული ღორი, ქურციკი, წავი, ჯიხვი, ლეოპარდი და სხვა მრავალი).

ასევე დასახელებულია ზოგი საწონი თუ საწყაო ერთეულიც, მაგ.: რომ ქართული კოდი უდრის ორ ფუთს. ყოველივე ჩამოთვლილის შედეგად ცხადი ხდება ხარჯთაღრიცხვის რვეულთა მნიშვნელობა.

აქვე გვსურს დავუროთოთ, რომ გიულდენშტედტს აქვს ნუსხა თან წამოღებული ნივთებისა, რომლებიც მას სჭირდებოდა მოგზაურობისას საჩუქრებას სახით ხარჯების გასასტუმრებლად და რომელთაც ის ურიგებდა ამა თუ იმ ცნობის მიმწოდებელს, დამხმარეს თუ აატივისმცემელს. ყველა ეს ნივთები შეფასებულია აგრეთვე, რათა უკეთ შესძლებოდა დანახარჯების აღნუსხვა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნივთებმა (სარკეები, დანები, ნემსები, სათითები, ბეჭდები, მაკრატლები, მარჯნები, აბრეშუმი, ტილო, პერანგები, სამართებლები, ჭიქები,



კომპასები, ხელსახოცები, კბილის ჯაგრისები, სავარცხლები, ლილები და სხვა მრავალი) დიდი სამსახური გაუწიეს მოგზაურს. ამასთან ის არიგებდა ნივთებს იმის მიხედვით, თუ რა ღირებულების ცნობას კრეფდა, ან რომელი რანგის წარმომადგენელთან ჰქონდა საქმე (იხ. ტექსტი, გვ. 266—269).

\* \* \*

ჩვენი გამოცემის ტექსტში შევიტანეთ აგრეთვე გიულდენშტედტის ხელნაწერ მასალაში დაცული „სია ავადმყოფებისა“, რომელთაც მან თვით, როგორც ექიმმა, ჩაუტარა გარკვეული მკურნალობა. ეს ცხრილი, რომელიც აგრეთვე გამოუქვეყნებელი იყო აქამდე, ინახება არქივში: Разряд I, опись 100, № 21 (იხ. ტექსტი გვ. 270—277). ეს სია შეიცავს საინტერესო მასალას როგორც სამედიცინო, ისე ისტორიული თვალსაზრისითაც. მოცემულ სიაში ვხვდებით ქართლ-კახეთის მეფეს, მისი ოჯახის წევრებს — მეულეს, შვილებს და სხვ. (დარეჯანს, ანახანუმს, ანას, მარიამს, გიორგის); პატრიარქს ანტონს; ვხვდებით მეფის კარის უმაღლეს თუ სხვა მოხელეებს (პირველ მდივანბეგს, ეშიკალაბაშს, მდივანს — იასე ოსეშვილს, დავით ქსნის ერისთავს და სხვას), კარის მსახურებს (მეფისა და დედოფლისა); ასევე ქალაქის მოსახლეთა (თუ მოქალაქეთა) ზოგ წარმომადგენელს (ვაჭარს, პირველ ოსტატს, მომღერალს და ა. შ.), სასულიერო პირებს (ხუცესი, მღვდელი). სიაში შეყვანილი არიან სხვა მხარეთა მმართველებიც (მაგ.: განჯის ხანი) და რუსული კორპუსის ოფიცრები.

მკითხველისათვის ერთი შეხედვითაც ნათელი იქნება, რომ მსგავსი ცნობები ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

\* \* \*

შემდეგ თავს ჩვენს გამოცემაში შეადგენს „კავკასიაში გავრცელებული ცხოველები და მცენარეები“. ესეც ერთ-ერთი ნაწილია. რომელიც პალასის გამოცემიდანაა ამოღებული (იხ. Reisen, I, გვ. 418—429; ჩვ. გამ. გვ. 278—289).

ძირითადად ეს არის ცხრილი იმ მცენარეთა, რომლებიც წლის სხვადასხვა დროს გვხვდება საქართველოში. ზოგიერთ მცენარეთაგანს (რომელთა ჩამოთვლაც ლათინურ ენაზე წარმოებს), მიწერილი აქვს ქართული სახელებიც ლათინური ტრანსკრიფციით. წინასწარ გვსურს ვთქვათ, რომ ხშირად ეს სახელები ძალზე დამახინჯებული, ხან კი არ შეესატყვისება სინამდვილეს. ტექსტში მოცემულ ლათინურ სახელებს ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვუძებნეთ მათი ქართული შესატყვისები. როგორც წინასიტყვაობაში იყო აღნიშნული, ჩვენ ვისარგებლეთ ორი ლექსიკონით: ა. მაყაშვილისა და რ. ერისთავის. (შევნიშნავთ, რომ გიულდენშტედტის მიერ ჩაწერილი ქართული შესატყვისები თვალსაჩინოებისათვის აწყობილია განსხვავებული შრიფტით).

ჩვენ მიერ განმარტებული სიტყვები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

1) გიულდენშტედტისეულ ლათინურ დასახელებას ლექსიკონებში მოვუძებნეთ ზუსტი შესატყვისი, მაგალითად: *Iris pumila*. ლექსიკონშიც იგივე

სწერია და მისი შესატყვისია ქონდარა ზამბახი. ჩვენც, რა თქმა უნდა, ასევე მივუწერეთ. აგრეთვე *Ulmus campestris* — თელა; *Mentha sylvestris* — ტყის პიტნა და სხვა მრავალი.

2) იყო შემთხვევები, როცა ლათინურ დასახელებას შესატყვისები ვერ მოვუძებნეთ და ამდენად თარგმანიც ვერ მივუწერეთ. მაგ.: *Bulbocodium vernum*, *Clinopodium grandiflorum*, *Iuugermannia epiphylla* და სხვა. საბედნიეროდ ასეთ სიტყვებს დიდი ადგილი არ უჭირავთ).

3) ბევრგან ქართულ შესატყვისს ვწერდით მხოლოდ ლათინურის პირველი სიტყვის მიხედვით, რადგან დედნის სრული სახით ლექსიკონში ვერ ვნახეთ. მაგ.: გიულდენშტედტი წერს — *Prunus lusitanica*. ლექსიკონებში ვნახეთ: *Prunus divaricata* — ტყემალი, ალუჩა; *Prunus domestica* — ქლიავი; *Prunus inistitia* — ლონაშო; *Prunus spinosa* — კვრიჩხი. ჩვენ ავიღეთ ორი შესატყვისი ტყემალი და ქლიავი და ისინი მივუწერეთ კითხვის ნიშნის ქვეშ. ასევე მოვექცით *Anagallis arvensis*-ს. ლექსიკონებში გვხვდება: *Anagallis coerulea* და *Anagallis phoenicea*. ორივე განმარტებულია „საპონელა“-თი. ჩვენც საპონელა მივუწერეთ *Anagallis arvensis*-ს და სხვა მისთათანი ვიმეორებთ, რომ სადაც გვეიჭვება შესატყვისთა სრული იგივეობა, ხანდახან კითხვის ნიშანს ვსვამთ.

დაახლოებით იგივე ითქმის იმ სიტყვებზე, რომელთაც მიწერილი აქვთ გიულდენშტედტისეული ქართული განმარტებანიც:

4) ტექსტში მოცემულია — *Fraxinus excelsior*, *Ipmi*. ჩვენც განმარტებთ როგორც იფანი, რადგან ასევეა ლექსიკონებშიც. ასევე — *Populus tremula*, *Werchi* — ვერხვი და სხვა.

მაგრამ: 5) *Pinus sylvestris*, *Dschatguso*. ლექსიკონებში განმარტებულია როგორც ფიჭვი და ჩვენც ასე ვიხმარეთ, თუმცა მოგზაური ქართულ შესატყვისად გვთავაზობს „Dschatguso“-ს. ანდა *Artemisia vulgaris*, *Wardi kapapa*. იგი ლექსიკონში ნიშნავს მამულას; ჩვენც იგივე გავიმეორეთ. ამავე დროს „ვარდკანაფა“ (*Wardi kapapa*) ლექსიკონების მიხედვით არის *Eupatorium Cannabium*. თუნდაც — *Lithosperma offic. Petwi*. კაკბის საკენკელა; მაშინ როცა ფეტვი არის *Panicum miliaceum*. ასევე *Betula*, *Sylohura* — არყი. *Staphylea pinnata*, *Zameti* — ჯონჯოლი და სხვა.

ასეთი პრინციპითაა საერთოდ განმარტებული ჩვენ მიერ მოცემული ლათინური სახელწოდებანი. არაა გამორიცხული, რომ ჩვენც ყოველივე ზუსტად ვერ დავადგინეთ.

\* \* \*

გამოცემის მეორე ტომში შეტანილია აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის მასალები გიულდენშტედტის არქივიდან. ამათგან უნდა დავასახელოთ შემდეგი:

ა) გიულდენშტედტის მიერ შედგენილი საძიებელი გეოგრაფიულ თუ საკუთარ სახელთა, აგრეთვე ზოგიერთ ტერმინთა. ეს საძიებელი ძირითადად იმერეთის სამეფოს ეხება და დალაგებულია ანბანის პირველ ასოზე. ეს საძიე-



ბელიც საინტერესოა, რადგან მასში შეტანილია 250-მდე დასახელება (იხ. ჩვ. გამ. გვ. 290—295).

ბ) ყიზლარის კომენდანტის მომართვა ამა თუ იმ ხეობის (მხარის) მმართველთადმი, სადაც გიულდენშტედტს თავის მოგზაურობისას მოუხდებოდა გავლა და მომართვა ერეკლე მეფისადმი. მათში ზოგადაა ნათქვამი გიულდენშტედტის სამოგზაურო გეგმების შესახებ და მოთხოვნაა მოგზაურისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა (იხ. გვ. 296—298).

გ) წერილები სოლომონ 1-ისა გიულდენშტედტისადმი და მოგზაურისა სოლომონისადმი (იხ. გვ. 298—300). მართალია, შინაარსობლივად საყურადღებო არაფერია მათში, მაგრამ საინტერესოა თვით სოლომონის ენა, მიმართვის ფორმა (აქვე წინასწარ დავსძენთ, რომ წიგნს დართული აქვს ერთერთი წერილის ფორტოც).

დ) წარწერები ზოგი ეკლესიიდან და ციხიდან (თბილისიდან, თელავიდან), რომლებიც ჩვენი გამოცემის პირველ ტომში არ შევიდა (იხ. გვ. 300—301).

ე) ქართული ბრუნების ნიმუში და ქართული ანბანი (იხ. გვ. 301—302). ესენი ჩვენ იმიტომ დავურთეთ გამოცემას, რომ ნათელი გაგვეხადა, თუ რა მონდომებით და გულისყურით აგროვებდა გიულდენშტედტი ყოველგვარ მასალას, რათა უფრო დამაჯერებლად შეესწავლა ესა თუ ის ხალხი.

სანამ გამოცემის მომდევნო ნაწილს („სიტყვათა კონებს“) შევეხებოდეთ, გავაკეთებთ მცირე გადახვევას ჩვენი გეგმიდან. ჩვენს გამოცემაში გვხვდება „დამატებები“ (იხ. გვ. 376—386). მათში შევიტანეთ გიულდენშტედტის მიერ შედგენილი სია საქართველოში საშოვარი მედიკამენტებისა და სახელებლებისა (გვ. 376) და გიულდენშტედტის წერილი ბაკმაისტერისადმი (აკადემიის ინსპექტორია — გვ. 380).

პირველი შევიტანეთ დამატებებში იმდენად, რამდენადაც ჩვენ მისი თარგმანი არ შეგვისრულებია ზოგიერთი სიძნელის გამო, თუმცა საკმაოდ საყურადღებო ჩამოთვლას (თავისი ფასებით) წარმოადგენს.

რაც შეეხება მეორეს, აქ შეიძლება მკითხველმა გვისაყვედუროს, თუ რატომ არ ვახლეთ ხელი გიულდენშტედტის მიერ სხვა ცნობილ პირებისადმი გაგზავნილ წერილებს. ვიტყვით, რომ გიულდენშტედტი სხვადასხვა მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებსაც სწერდა მეტად შინაარსიან და საქმიან წერილებს. ეს წერილები მრავლად ინახება ხსენებულ არქივში. ისინი შინაარსობლივად ბევრად არ განსხვავდებიან მისივე „მოხსენებებისაგან“, წერილებში იგივე ცნობებია დაცული ამა თუ იმ ხალხის, მხარის შესახებ. ამიტომ ისინი აღარ გავიმეორეთ.

ამდენად ჩვენ აღნიშნული წერილი მოვიყვანეთ როგორც ნიმუში ნათქვამის საილუსტრაციოდ. დანარჩენს მკითხველიც თვით დაინახავს წერილის შინაარსიდან.

\* \* \*

გიულდენშტედტი ხალხთა წარმომავლობისა და ნათესაობის დასადგენად ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობდა ენობრივი მასალების შეგროვებას. მან

შეძლებისდაგვარად კიდევ ჩაიწერა კავკასიაში გავრცელებული ენების ლექსიკური მონაცემები და ენობრივი ნიმუშები. ეს მასალები ინახება არქივში Ряз-пид I, опись 100, № 20.

გიულდენშტედტი კავკასიის ენებს ექვს ძირითად ჯგუფად ჰყოფს, რომელთაც თავისი დიალექტები აქვთ: თათრული (ნოღური, ყალმუხური და თურქმანული დიალექტები); ლექური, ქისტური, ოსური, ჩერქეზული (ყაბარდოული და აფხაზური ენები), ქართული (მეგრული, სვანური, ქართლურ-კახურ-იმერულ-გურული ენები და კილოები).

ლექური ენის შესახებ შევნიშნავთ შემდეგს: 1772 წლის 20 ნოემბრის წერილში ბაკმაისტერისადმი (იხ. დამატებები, გვ. 381—382) გიულდენშტედტი გამოჰყოფდა ამ ენის ხუთ დიალექტს; იმავე წერილში მას ეს ციფრები ექვსად გადაუკეობია, ასევე დაუმატებია ის მხარეც, სადაც ამ მეექვსე დიალექტზე ლაპარაკობენ. 1773 წლის 10 მარტის „მოხსენებაში“ კი უხვდებით რვა ლექურ დიალექტს (იხ. ტექსტი, გვ. 191). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ახალი ცნობების მიღების შემდეგ იგი ახლიდან იკვლევდა ენათა ურთიერთკავშირს.

ყოველი ენის დახასიათებისას ჩამოთვლილია ამ ენაზე მოლაპარაკე მხარეები, გავრცელების არეები. გიულდენშტედტი ყველგან ცდილობს მოძებნოს ამ ენათა ფუძე, მათი წარმომავლობა (მაგ.: ოსურის დედა სპარსულია; მეგრულ-სვანურისა — ქართული; ლექური ენათესავება სპარსულს და ა. შ.).

წინამდებარე ტომის შემდგომ განყოფილებას შეადგენს სწორედ გიულდენშტედტის მიერ შედგენილი — „კავკასიაში ხმარებული ენების შედარებითი სიტყვათა კონები“ და „ქართულ-მეგრული ენობრივი ნიმუშები“ (იხ. ტექსტი, გვ. 303—375).

პირველში შედის შემდეგ ენათა მონაცემები (თითოში დაახლოებით 340-მდე სიტყვაა): ქართველური ენები, ლექური და მისი მონათესავე ენები (ანწუხური, ჭარული, ხუნძახური, დიდოური; ყაზიყუმუხური, ანდური, აკუშაური), მიცჯეგური დიალექტები (ჩეჩნური, ინგუშური, თუშური), ყაბარდოული და აბაზური (კუშჰასიფ-აბაზური და ალთიქესეკ-აბაზური) ენები, ოსური ენები (დიგორული და ოსური; აქვე შედარებულია ავღანურიც).

ყოველი ამ ნაწილის შედგენის პრინციპი ერთია; სიტყვები ერთი და იგივეა და ერთ რიგზეა დალაგებული.

პალასს ეს ლექსიკური მასალა დართული აქვს თავისი გამოცემის II ტომისთვის (იხ. Reisen, II, გვ. 496—552). თუ გიულდენშტედტის დედანში ყოველ ენობრივ მონაცემს წინ უძღვის ლათინური და რუსული შესატყვისები. პალასი მათ მაგიერ ხმარობს გერმანულს. ამავე დროს პალასი აკლებს ზოგიერთ სიტყვებს, ზოგან კი, სადაც გიულდენშტედტს არაფერი უწერია, თვით ავსებს. ხშირად არეულია სიტყვები და დამახინჯებულია მართლწერა (შეიძლება კორექტურული შეცდომებიც იყოს).

ჩვენ შევადარეთ ხელნაწერ დედანს ლექსიკური მასალა პალასის გამოცემისა, შევავეთ ის და დამახინჯებანი შევასწორეთ. ეს შესწორება-ჩამატე-

ბანი ყველგანაა აღნიშნული ჩვენი გამოცემის სქოლიოებში. აგრეთვე აღვადგინეთ გიულდენშტედტისეული ლათინურ-რუსული შესატყვისები და განსამარტავად ქართული მნიშვნელობებიც დავერთეთ / უნდა აღვნიშნოთ, რომ არ შეგვიმოწმებია, თუ რამდენად ზუსტად უდგება ჩაწერილი სიტყვები სინამდვილეს.

ამ თავის მეორე ნაწილი („ქართულ-მეგრული ენობრივი ნიმუშები“<sup>\*)</sup> პირველად ქვეყნდება. იგი გადმოღებულია ხელნაწერი დედნიდან სრული სახით. მსგავსი მაგალითები გიულდენშტედტს 18 სხვადასხვა ენისა მოჰყავს (იხ. ტექსტი, გვ. 375), ასევე ყველა ერთ პრინციპზეა აგებული და ერთი და იგივე შინაარსის სიტყვები თუ წინიდადებებია. შევნიშნავთ, რომ გიულდენშტედტი იძლევა რუსულ თარგმანს (ამასთან სიტყვა-სიტყვითს) სიტყვათა იმ რიგის დაცვით, როგორც ეს შესაბამ ენაში გვხვდება (მაგ.: დედაკაცი ესე იყო ორსული — *Мать-человек сия была двудышна*; ანდა — ძუძუთა შინა მისთა არს სიმრავლე სძეთა — *Грудям внутри ея есть множество молока*; სამოცდაათი — *три двадцать да десять* და ა. შ.). აგრეთვე იძლევა ამ ენათა სიტყვების ტრანსკრიფციას რუსული და ლათინური ასოებით.

ამ „სიტყვათა კონების“ გამოკვლევა ლინგვისტოა საქმეა. მიუხედავად საკმაო უზუსტობისა, რაც, უჭველია, ახლავს ამ ლექსიკონებს, ანდა იმისა, თუ რამდენად მისაღებია ყოველთვის გიულდენშტედტისეული დასკვნები, ვფიქრობთ, ენათმეცნიერთათვის ეს მასალები მეტად საყურადღებოა.

\* \* \*

ჩვენს გამოცემას ახლავს საკუთარ სახელთა და საენობრივი საძიებლები (იხ. გვ. 387—419). განმარტებისთვის გვსურს ვთქვათ შემდეგი. როგორც წინასიტყვაობაში იყო აღნიშნული, გეოგრაფიული სახელების დადგენისას ბევრს იძინელეს წავაწყდით. ამდენად, საძიებელში მეტნაკლები სიზუსტით დადგენილი სიტყვები სხვადასხვა ხერხით გადმოვეცით.

1. საძიებელში ზოგიერთ სახელს ახლავს მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული ასოები, მაგ.: მი(ნ)ათლი, სოფ. ლეკეთში. ამ ასოებს ჩვენ ზედმეტად ვთვლით სახელწოდებებში.

2. თუ გიულდენშტედტის მიერ ნახმარ სიტყვაში, ჩვენის აზრით, აკლია ასო, მას აღვადგენთ კვადრატულ ფრჩხილებში, მაგ.: მალარ[ო], სოფ. ლეკეთში; მერეჯ[ო], სოფ. ქისტეთში; ელმურზა[ია], სოფ. ჩერქეზეთში და სხვა.

3. თუ ტექსტში სიტყვა დამახინჯებულად სწერია, ხოლო ჩვენ ვადგენთ ამ სახელს და ამასთან ის არ გვეეჭვება, მოგვყავს ეს სახელი დადგენილი სახით და გვერდზე ვუწერთ მის ტექსტისეულ გერმანულ ტრანსკრიფციას, მაგ.: ტალგათი (Talgesi); სახსათი (Sasgat) და სხვა მრავალი.

4. როდესაც ჩვენ დარწმუნებული ვართ შესატყვისის სისწორეში, ხანდახან ვსვამთ ტოლობის ნიშანს, მაგალითად: გირგერი (= გიულგერი-ჩაი) და სხვა.

\* ასე ვარქმევთ ჩვენ მას პირობით (გ. გ.).

5. თუ ეკვი გვეპარება შესატყვისის დადგენაში, მაშინ მას კითხვის ნიშნის ქვეშ ვწერთ ფრჩხილებში, მაგ.: მახკი (არიახკი ?), მხ. და სოფ, ქისტეთში; მესტოი (მეესტი ?), სოფ. ქისტეთში; კახკოი (კიშხოი ?), სოფ. ქისტეთში და სხვა.

6. როდესაც გავვიჭირდა სახელწოდების დადგენა, ეს სიტყვა ჩვენ დავსვით კითხვის ნიშნის ქვეშ და მივუწერეთ დედნისეული გერმანული ტრანსკრიფცია. მაგალითად: ტეტკვალია (? Tetqualja), სოფ. ლეკეთში; სანკესტე (? Sankeste), სოფ. ოსეთში; და სხვა).

7. ზოგ ადგილას ტექსტში ერთი და იგივე სიტყვის რამდენიმე წაკითხვა გავგეპარა: ჩვენ ისინი ყველა აღვნიშნეთ საძიებელში (მაგ.: ნეიმზჩი, ნაიმზჩი, ნეიპჩი და სხვა).

ერთი შენიშვნა გვსურს გავაკეთოთ. როდესაც გიულდენშტედტი ამა თუ იმ მხარის სახელწოდებას იძლევა, სურს ახსნას ამ სახელის წარმომავლობაც. ზოგან ის უზუსტობას უშვებს, ხოლო ერთ ადგილას შეცდომასაც: ჩერქეზული მხარეების განხილვისას იგი ამბობს, რომ სიტყვა „ყაბარდა“ ქართულად ნიშნავს: განზე, გვერდზე, მეორე მხარეზე. ალბათ ეს სახელი ქართულია და მიკუთვნებული აქვთ საქართველოს მიმართ მათი მდებარეობის მიხედვით“-ო (იხ. ტექსტი, გვ. 57). ამ სიტყვის იმავე ახსნას იძლევა გიულდენშტედტი მოკლე ლექსიკონის შედგენისას (იხ. ჩვენი გამოცემის ტ. I, გვ. 212: Bey Seite, Kabarda — განზე, ხაბარდა). აქ გაუგებრობაზე აგებული შეცდომა დაშვებული. მას ალბათ ესმოდა თბილისში მაჰმადიანი მოსახლეობის (მტვირთავეზის) მიერ წამოძახილი „ხაბარდა“ (განზე გაიწი, გზა მომეცი) და დაუკავშირა ის გეოგრაფიულ სახელს — ყაბარდოს.

რაც შეეხება საგნობრივ საძიებელს, წინამდებარე მეორე ტომს ჩვენ დავურთეთ პირველი ტომისაც, რადგან ის წინა გამოცემაში ვერ მოთავსდა სათანადო მიზეზთა გამო.

\* \* \*

გიულდენშტედტი არ კმაყოფილდებოდა ცნობათა შეგროვება-ჩაწერით. მის საარქივო ფონდებში უხვადაა დაცული ექსპედიციის მხატვრისა და თვით მის მიერ შესრულებული ჩანახატები და ამა თუ იმ მხარეთა რუკები. ეს მასალები სრულყოფენ და ავსებენ მოგზაურის წერილობით ცნობებს, ამიტომ ჩვენ ზოგიერთი მათგანი დაურთეთ ჩვენს გამოცემას. ეს ჩანახატებია: ქართლის, იმერელის (კაცები), ქართველი ქალის ტიპები (ყველა მათგანზე კარგად ჩანს იმდროინდელი ტანსაცმელი); თელავის ციხე და ალავერდის ეკლესია. გიულდენშტედტის საარქივო მასალებში კიდევ მრავალი ჩანახატი, რომელთა ფოტოც ჩვენ არ გავიკეთებია (მრავალგვარი მცენარეებისა თუ თევზების; ცხოველებისა თუ ფრინველების, ქვეწარმავლებისა თუ მწერების ჩანახატები; სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ტიპები და სხვა).

რადგანაც ინტერესს მოკლებული არ იყო, ჩვენ გადმოვიღეთ აგრეთვე ორი ფოტო: თვით გიულდენშტედტის ხელნაწერისა და სოლომონ პირველის ხელით შესრულებული წერილისა.



გიულდენშტედტი ამა თუ იმ მხარის ზოგად აღწერილობათა ხასიათის „მოხსენებებს“ თან ურთავდა თავისი ხელით შედგენილ რუკებსაც. ჩვენ გიულდენშტედტის რუკათაგან გადმოღებული გვაქვს შემდეგი:

1. *Mappa fundamentalis partem Caucasi inter mare Caspium et Nigrum mediam, cum promontorijs et septentrionali et australi, atque cum facie septentrionali promontorii septentrionalis Araratici sistens, sub felicissimis Augustissimae Russorum Catharinae Secundae auspicijs, in peregrinatione physica concinnata per Doctorem Antonium Johannem (Güldenstaedt)\*.*

„ძირითადი რუკა, რომელიც ასახავს კავკასიის ნაწილს, კასპიის ზღვასა და შვე ზღვას შუა რომ არის, და მის განშტოებებს, როგორც ჩრდილოეთის ისე სამხრეთის განშტოებებს, აგრეთვე არარატის ჩრდილო განშტოების ჩრდილოეთის მხარეს; შედგენილია რუსთა უავგუსტოვისი [დედოფლის] ეკატერინე მეორის უბედნიერეს მეფობაში დოქტორ ანტონ იოჰან გიულდენშტედტის მიერ ფიზიკალური მოგზაურობის დროს“.

Nordwest die Distrikte Tubi, Ubuch, Schaschi und Schapsich oder Schapso, die mit dem Tscherkessischen Distrikte Bschana und Hatukai gränzen, und über die die Türken in der am schwarzen Meere gelegenen Vestung Sotschukkala Aufseher halten, denen sie indes wenig gehorchen. Die Sprache dieser nordwestlichen Distrikte ist von der in den südwestlichen Distrikten gebräuchlichen merklich verschieden. Ein dritter kleiner Teil der Nation ist derienige, der in dem vorigen Jahrhunderte nach der Nordseite des Gebürges gezogen ist, daselbst er igt, zwischen den Tscherkessischen Distrikten Kabarda und Beslen, die Flüsse Kuma, den obern Teil des Kubans und die in dem Kuban fallenden Flüsse Indschik und Uarp oder Arpa einnimt und die Distrikte Kisilbek, Tam, Schegrai, Barakai, Baschilbai, Sidi und Alte Kesek, d. i. Sechs Stücke von sechs der vornehmsten Familien also genant, ausmacht. Die Fürsten der grossen Kabarda halten diese sich untertän und zinsbar; weil sie an dieselben ire vorigen Wouplätze, nachdem sie selbst ostlicher zum Terek hingezogen, abgetreten haben. Ire ehemaligen Fürsten aus den Familien Mudawia und Scharscha, die noch igt die angesehensten in dem südlichen Abchasien sind, suchen gleichfals das alte Recht zu behaupten; und die Fürsten des Tscherkessischen angränzenden Distrikts Beslen machen auch verschiedene Ansprüche an diese Nordseite Abchasier, daher sie in einer beständigen Unruhe und Bedrängnis leben. Zu Anfange des izzigen Krieges im Jare 1769. wurden auch viele derer zu Alte Kesek gehörigen, an des Kubans obern Teile im Gebürge gelegenen Dörfer, durch das Corps des H. Generalen v. Medem verheeret, weil sie sich feindlich bezeigten. Die Sprache dieser [ist in] nordlichen Distrikten gebräuchlichen übereinkommend. Nur der Tscherkessischen, sonst keiner andere[n] mir bekanten Sprache ist die abchasische ähnlich. In Ansehung der Religion gielt von Abchasia eben das, was von Tscherkessia gesagt ist. Doch scheint es, daß sie in Abchasia tiefer eingewurzelt gewesen. Bedia, Dranda und Mokwi waren Bischofssitze und Bitschwinta war der Sizz eines Patriarchen, der in der Folge der Patriarch von Imereti selbst war. An diesen Oertern stehen noch igt gute steinerne Kirchen; und die Abchasier halten noch igt unter sich einen Mann, der unverheiratet und von ungescholtenen Wandel seien mus, der besonders nach der grossen Fasten die Einsegnung des Fleisches verrichtet, und diesen nennen sie: *Kaltakas*, welches von dem verstümmelten georgischen Patriarchen Titel: *Katolikos* herrürt. In den ältesten Zeiten hatte Abchasia seinen eigenen Landesherrn, der vermutlich auch die Provinz Kasachia oder izzige Tscherkessia besas und dem in der georgischen Chronik der Titel: *Abchasetis Mepe*, das ist *Abchasiae Rex* gegeben wird. Nachher kam das ganze Land an die georgischen Regenten, die den Titel: *Kartwelissa* da *Abchasetissa Mepe*, d. i. *Georgiae et Abchasiae Rex* füreten. Nach der Teilung des georgischen Reiches kam diese Provinz an Imereti, von dem sie in der Folge ganz abtrünnig geworden und one Landesherrn geblieben.

შაში და შაფსული ანუ შაფსო, რომლებიც ესაზღვრებიან ჩერქეზულ მხარეებს ბენას და ჰატუკაის და რომელთა ზედამხედველებიც თურქებს შავ ზღვაზე მდებარე სიმაგრე სუჯუქ-ყალაში ჰყავთ, თუმცა ამათ ისინი ნაკლებ ემორჩილებიან. ამ ჩრდილო-დასავლეთის მხარეებში გავრცელებული ენა შესამჩნევად განსხვავდება სამხრეთ-დასავლეთისაში ხმარებულისაგან. მესამე პატარა ნაწილი ხალხისა არის ის, რომელიც გასულ საუკუნეში მთიანეთის (ქედის) ჩრდილოეთით დასახლდა, ამიტომ ისინი ამჟამად სახლობენ ჩერქეზულ მხარეებს, ყაბარდოსა და ბესლენს შორის, რაც მოიცავს მდ. კუმას, ყუბანის ზემო წელს და ყუბანში ჩამავალ მდინარეებს, ინჯიკსა და უარპს ანუ არპას; მათ აქვთ მხარეები ყიზილბეკი, ტამი, შევრაი, ბაროყაი, ბაშილბაი, სიდი და ჰქმნიან ალთი ქესეკს, ე. ი. ნაწილი, რადგანაც სახელები ჰქვიათ ექვსი ყველაზე ცნობილი გვარის მიხედვით. დიდი ყაბარდოს თავადებს. ესენი მორჩილებაში ჰყავთ და გადასახადს ახდებიან, რადგან ამათ (ყაბარდოელებმა — გ. გ.) თავისი ძველი საცხოვრებლები მათ დაუთმეს, მას შემდეგ რაც თვით აღმოსავლეთით თერგისკენ გადმოვიდნენ. მათი (ამ აფხაზთა — გ. გ.) ძველი თავადები მუდავიასა და შარშას გვარიდან, რომლებიც ახლაც ყველაზე ძლიერნი არიან სამხრეთ აფხაზეთში, ცდილობენ თავისი ძველი უფლება დაამკვიდრონ აქაც. [ამათი] მოსაზღვრე ჩერქეზეთის მხარის, ბესლენის, თავადები აფხაზეთის ჩრდილოეთ მხარეზე ზოგ უფლებას აცხადებენ, ამიტომ ისინი ცხოვრობენ გამუდმებულ შფოთსა და თავდასხმებში. ამ ომის დასაწყისში, 1769 წელს, ალთი კუნძულის კუთვნილი, მდ. ყუბანის ზემო წელზე მთებში მდებარე ბევრი სოფელი დარბეულ იქნა ბ-ნ გენერალ მედემის კორპუსის მიერ, რადგან ისინი მტრულად იქცეოდნენ. ამათი ენა ემსგავსება ჩრდილოეთ მხარეებში გავრცელებულს. ხოლო ჩერქეზულს არც ერთი სხვა ჩემთვის ცნობილი ენა არ ემსგავსება, გარდა აფხაზურისა. რაც შეეხება რელიგიას, აფხაზეთის შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რაც ჩერქეზეთის შესახებ. თუმცა აფხაზეთში უფრო ღრმად უნდა ჰქონდეს [რელიგიას] ფესვები გადგმული. ბეღია, დრანდა და მოკეზ იყვნენ ეპისკოპოსის საჯდომები, ხოლო ბიჭვინთა იყო ადგილსამყოფელი პატრიარქისა, რომელიც შემდეგ თვით იყო იმერეთის პატრიარქი. ამ ადგილებში დღესაც დგას ქვის კარგი ეკლესიები; აფხაზებს ჰყავთ ერთი კაცი, რომელსაც არ ჰყავს ცოლი და უნდა ეწეოდეს უმწიკვლო ცხოვრებას; მას ძირითადად ევალება დიდმარხვის შემდეგ ხორცი აკურთხოს და მას უწოდებენ ისინი: კალტაკას, რაც წარმოადგენს პატრიარქის ქართული ტიტულის „კათოლიკოსის“ დამახინჯებას. ძველ დროში აფხაზეთს ჰყავდა თავისი საკუთარი მმართველი, რომელსაც, ჩანს, აგრეთვე პროვინცია ყაზახია ან ახლანდელი ჩერქეზეთი ეკავა და რომელსაც ქართულ ქრონიკაში ჰქონდა მიცემული ტიტული აფხაზეთის მეფისა. ამის შემდეგ მთელი ქვეყანა გადავიდა საქართველოს მმართველების ხელში, რომლებიც ატარებდნენ ტიტულს: მეფე ქართლისა და აფხაზეთისა. საქართველოს სამეფოს გაყოფის შემდეგ, ეს პროვინცია გადავიდა იმერეთის ხელში, რომლისგანაც ის შემდგომში მთლიანად გამოიყო და დარჩა უმმართველოდ.



Um die Geschichte derer die kaukasischen Gegenden bewohnenden Völker vollständig zu machen, ist nun noch übrig, daß ich von den Nogaischen Tataren und von den russischen Kasaken, die am Kuban leben, rede. Der Kuban Fluß, nachdem er neben der Kuma von Süden nach Norden aus dem Hauptgebürge herausgetreten, wendet sich nach Westen und nimmt in dem an 50 Werst breiten Tale, das der nördliche Fus des Hauptgebürges und der südliche Fus des nördlichen Vorgebürges einschließt, seinen Gang zum schwarzen Meere. An demselben ziehen in der Gegend zwischen und um den Mündungen der Flüsse Indschik (*Инджикъ*) und Uarp, diejenigen nogaischen Tatare herum, die Kassai Aul genant werden und die an 8000 Familien stark sind. Der Älteste derselben war der Mursa Arslanbek, oder der unter dem Namen: Sokur Hadschi, d. i. blinder Pilgrim, auf der Astrachanischen Steppe berühmte Partiegänger, der im vorigen Jare gestorben, dagegen der izzige Älteste der Mursa Islam, des Musa Son ist. In der Gegend der Mündung der Laba wonet eine am 2000 Familien starke nogaische Horde in Dörfern und Häusern, die Naurus Aul genant wird. Beide diese Horden haben in diesem Kriege gegen die russischen Gränzen feindlich agirt. Aber in Herbst im Jare 1771. schlug sie der H. General v. Medem, darauf sie an Rusland den Huldigungseid leisteten, Geis(s)el(n) gaben und bis izt geruhig sind. Auser diesen beiden Horden halten sich einige Tatarische Fürsten auf, die aus der Krimisch-Chanische[n] Familie, vor da sie verschiedener Umstände wegen zu Anfange dieses Jahrhunderts hieher geflüchtet sind. Sie führen den Titel: Sultan und nären sich von diesen Nogaiern, bei denen sie zu vielerlei Handeln Gelegenheit geben.

Die übrigen Teil[e] des Kuban Flusses von der Mündung der Laba bis zum schwarzen Meere besezen izt die grossen nogaischen Horden Jedisan, Jedischkul, Dschambeiluk und Akkermen oder Belogorod, die seit zwei Jaren nachdem sie der russischen Herrschaft sich unterworfen, vom Dnieper und Bug wieder in diese Gegenden, die sie ehemals bewoneten, versetzt sind und diese machen eigentlich die Kubanische Tatarei aus. Sie namen aber nicht allein das Tal am Kuban Fluß ein, sondern auch das längst dem Kuban sich ausdenende flache nördliche Vorgebürge und die von dessen Nordseite entspringenden Flüsse Akbaşch, Tschalbaşch, Ge, Schübür, Gogonlik, Dongusle, Dschilule, Ajule und Gegerlik und den Manitsch, unterhalb der Mündung des Gegerlik, an denen sie mit iren Zelten herumziehen. Nur ein kleiner Teil, besonders von der Horde Akkermen, die in Dörfern zu leben gewont ist, hat angefangen, sich am Kuban an verschiedenen Orten anzubauen.

Etwan eine Tagereise oberhalb seiner Mündung, teilt sich der Kuban in verschiedene Arme, an denen einige bevestigte Oerter liegen, die unter dem Krimmischen Chane standen und teils von Tatern, teils von Tscherkessen bewont sind, nemlich Kopil, Taban oder Taman, Temruk, Atschu-



რათა კავკასიის ხალხების ისტორია სრული გახდეს, დარჩა სათქმელი მხოლოდ ნოღაელ თათრებსა და რუს კაზაკებზე, რომლებიც ყუბანზე ცხოვრობენ. მდინარე ყუბანი, მას შემდეგ რაც ის მდ. კუმას ახლოს (სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით) გამოდის მთავარი ქედიდან, უხვევს დასავლეთისკენ და 50 ვერსის სივანის დაბლობით, რომელიც მოთავსებულია მთავარი ქედის ჩრდილოეთ ძირსა და ჩრდილოეთის მთისწინეთის სამხრეთის ძირს შორის, მიემართება შავი ზღვისაკენ. მასზე (ყუბანზე — გ. გ.). მდ. ინჯიკისა და უარბის შესართავებთან და მათ შორის მოთავსებულ მიდამოში მომთაბარებობენ ის ნოღაელი თათრები, რომლებსაც ჰქვიათ კასაი აუღლი და შეადგენენ 8000 ოჯახს. მათი უფროსი (Älteste) იყო მურზა არსლანბეკი, (ანდა სოკიურ ჰაჯის, ე. ი. ბრმა პილიგრიმის სახელით ცნობილი ასტრაბანის სტეპებში მოხეტიალე Partiegänger), რომელიც გასულ წელს მოკვდა, ხოლო მის მაგივრად ამჟამად უფროსია მურზა ისლამი, მუქრუს ვაჟი. ლაბას შესართავის მიდამოებში ცხოვრობს 2000 ოჯახისგან შემდგარი ნოღაური ურდოსოფლებსა და სახლებში, რომელსაც უწოდებენ ნაურუხ აულს. ორივე ეს ურდო ამ ომში მოქმედებდა რუსეთის საზღვრების სამტროდ. მაგრამ 1771 წლის შემოდგომაზე ისინი დაამარცხა ბ-ნმა გენერალმა ფონ მედემმა, ამიტომ მათ რუსეთს დაუდეს ერთგულების ფიცი, მისცეს მიწვევები და ჯერაც მშვიდად არიან. ამ ორი ურდოს გარდა ცხოვრობენ ზოგი თათარი თავადები, რომლებიც არიან ყირიმის ხანის გვარიდან და სხვადასხვა მიზეზების გამო ამ საუკუნის დასაწყისში იქიდან აქეთ გამოიქცნენ. ისინი ატარებენ სულთანის ტიტულს და თავს ირჩენენ ამ ნოღაელთა ხარჯზე, რომლებთანაც მათ აქვთ საშუალება სხვადასხვა სახის ურთიერთობა იქონიონ.

მდ. ყუბანის დანარჩენი ნაწილი, მდ. ლაბას შესართავიდან შავ ზღვამდე, ამჟამად უკავიათ დიდ ნოღაურ ურდოებს — იედი სანს, იედი შკულს, ჯამბოილუკს და აკერმენს ანუ ბელგოროდს, რომლებიც ეს ორი წელია, მას შემდეგ რაც რუსეთს დაემორჩილნენ, დნებრიდან და ბუვიდან კვლავ ამ მხარეებში გადმოსახლდნენ, სადაც ისინი ძველადაც ცხოვრობდნენ; ისინი შეადგენენ ჩვეულებრივ ყუბანელ თათრებს. მათ უკავიათ არა მარტო ყუბანის დაბლობი, არამედ ყუბანის გასწვრივ დაშვებული დაბალი ჩრდილოეთის მთისწინეთი და მისი ჩრდილოეთი მხრიდან მომავალი მდინარეები: აკბაში, ჩალბაში, გე, შუბური, კავალნიკი, დონღუზლე, ჯილულე, აიულე, ეგორლიკი და მანიჩი — ეგორლიკის შესართავს ქვევით, რომელთა [მიდამოებშიც] ისინი თავიანთი კარგებით მომთაბარებობენ. მხოლოდ ერთმა პატარა ნაწილმა, ძირითადად აკერმენის ურდოსი, რომელიც მიეჩნევა სოფლებში ცხოვრებას, დაიწყო დამკვიდრება ყუბანზე, სხვადასხვა ადგილებში.

თავისი შესართავის ზემოთ, დაახლ. ერთი დღის სავალზე, ყუბანი ძყოფა რამდენიმე ტოტად, რომლებზეც რამდენიმე გამაგრებული პუნქტი ძვეს. ისინი ემორჩილებიან ყირიმის ხანს და დასახლებული არიან ნაწილობრივ თათრებით, ნაწილობრივ ჩერქეზებით. ესენი არიან, სახელდობრ, კოპილი, ტაბანი.

kala und Chituk; diese begreifen die Tatarn, weil sie auf Inseln, die die Arme des Kubans machen, gelegen, unter dem gemeinschaftlichen Namen: Adale d. i. Insulaner...<sup>1</sup>

ა. 164<sup>06</sup>

Um meine Reise von Mosdok nach Tscherkask recht gemeinnützig zu machen, habe ich zwei und zwanzig Oerter bemerkt und auf dem Plane mit hinzugefügten Nummern angezeigt, an denen Kolonien angelegt werden könnten. Die Oerter sind an 20 bis 30 Werst von einander abstehend...<sup>2</sup>

ა. 166—166<sup>06</sup>—167

Aus den Donischen und Wolgischen Kasaken können leicht 2200 Familien genommen werden, die zu 100 Familien in jedem derer zwei und zwanzig Oerter verteilt, den Stamm dieser Kolonien ausmachen würden. Jeder Ort könnte mit einem viereckigten Erdwalle und mit 4. Kanonen versehen werden...

Bei diesen Oerten... konnte die Anzal der Einwohner vermeret werden durch Nogaier, die in Häusern zu leben gewont sind... Auch halte ich es leicht taulich, aus dem am Terek gelegenen georgischen Distrikte Kewi und aus denen an den Flüssen Aragi und Liachwi gelegenen Distrikten Grasiner oder Georgier herauszuziehen und bei diesen Kolonien zu versetzen...<sup>3</sup>

ა. 167

Der Nuzze dieser zwischen Mosdok und Tscherkask anzulegenden 22 Kolonien wird in folgendem bestehen...

<sup>1</sup> ამას მოსდევს რუსული სტანიცების აღწერა, შემდეგ კუმა-ყუბანის მიდამოს აღწერა..

<sup>2</sup> შემდეგ ჩამოთვლილია, თუ რომელი პუნქტი სად ძევს, რა შეიძლება მოყვანილ იქნას, როგორია ბუნება...

<sup>3</sup> საჭიროდ მიიჩნევს ყალმუხების გადმოყვანასაც (გ. გ.).

ანუ ტამანი, ტემრიუკი, აჩუკალა და ხიტუკი; მათ თათრები საერთო სახელით — ადალე. ე. ი. კუნძულის მოსახლენი, აერთიანებენ. რადგან ისინი მდებარეობენ კუნძულებზე, რომლებსაც ყუბანის ტოტები ჰქმნიან...

გვ. 164<sup>06</sup>

რათა ჩემი მგზავრობა მოზღოკიდან ჩერკასკამდე ნამდვილად სასარგებლო გაეხადო, მე ჩავინიშნე ოცდაორი პუნქტი და სათანადო ნომრებში აღვნიშნე გეგმაზე. აქ შეიძლება კოლონიათა დაარსება. ეს პუნქტები ერთმანეთისგან 20—30 ვერსით არიან დაშორებულნი...

გვ. 166—166<sup>06</sup>—167

ღონელ და ვოლგელ კახაკთაგან ადვილად შეიძლება 2200 ოჯახის გადმოყვანა, რომლებიც დასახლებიან 22 ადგილას; ას-ასი ოჯახი თითოეულ ადგილას. ისინი შექმნიან ამ კოლონიათა საფუძველს. ყოველი პუნქტი შეიძლება ოთხკუთხა მიწაყრილით და 4 ქვემეხით იქნეს გამაგრებული...

ამ ადგილების მოსახლეობის რიცხვი შეიძლება გაიზარდოს იმ ნოდელთა მეშვეობით (ხარჯზე), რომლებიც შეჩვეული არიან ბინადარ ცხოვრებას... ასევე ადვილშესაძლებლად მიმაჩნია თერგზე მდებარე ქართულ მხარე ხევოდან და არაგვსა და ლიახვზე მდებარე მხარეებიდან ქართველთა გადმოყვანა (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.) და ამ კოლონიებში დასახლება...

გვ. 167

მოზღოკსა და თერგს შორის 22 კოლონიის დაარსება სასარგებლო იქნება შემდეგის გამო: <sup>1</sup>...

<sup>1</sup> ჩამოთვლილია, რომ შეიქმნება ერთი მთლიანი საზღვარი აზოვიდან კასპის ზღვამდე: მარბი, რასაც ყაბარდოელები და ყალმუხები იღებენ ტბებში და ვაქრობენ, გადაჯარუსეთის ხელში; ასევე საძოვრები ცხვრებისა და ცხენებისთვის; გზები დაცული იქნება კაკასიელთა თავდასხმებისგან და ა. შ. ...

In des Kuban Flusses Ostseite fallen in der Ordnung von Osten nach Westen folgende kleine Flüsse: 1) Koiden, 2) Dschechanes (*Жежань*), 3) Dshegota (*Жегота*), an dessen Ostseite eine steinerne weidliche Riesen-Natur lieget, die Elter Katsch (*Елтеркач*) genant wird; 4) Utschkul (*Учкул*), welches in der tatarischen Sprache: drei Bauren bedeutet; 5) Kalmursaschilgase (*Калмурса жила*); 6) Mara, an dem das zu dem Distrikt Altekesek Abasa gehörige Dorfe Klitschk (Клишк)<sup>1</sup> gelegen. — Hierauf folgt 9) der Flus Kuban selbst, den die Abasiner: Kubin, und die Tscherkessen Psidsche (*Псидже*), d. i. Wasser altes. nennen. An dessen Ursprüngen ist der zu Basiania gehörige tatarische Distrikt Karadschai (*Караджай*) gelegen; und diesen westlich der abasaische Distrikt Schtschaina (*Щаина*), und noch höher im Gebürge, an Swaneti gränzend, der abasaische Distrikt Chirpiskit (*Хирпискит*)<sup>2</sup>. Und am Fus des Gebürges, ist da der Kuban aus demselben heraustritt, das zu Altekesek gehörig Dorf Ketscheje (*Кечеје*), und gegenüber eine alte steinerne Kirche.

Nun die in des Kubans West- und Südwest-Seite fallenden Flüsse, wieder in der Ordnung von O. nach W. fortgehend. 10) Teberde, an den das abasinische Dorf, Tramkt<sup>3</sup>, gelegen; 11) Schauna (*Шауна*); 12) Kardanich, an dem das abasinische Dorf, Laukt gelegen; 15) Chsaunt (*Хсаунт*), der in die Ostseite des Flusses Kitschi Indschik fällt und an den die abasinische Dörfer Aslankt und Dudarnkwakt gelegen; 16) Maruch, der auch in die Ostseite des Kitschi Indschik fällt und an dem das abasinische Dorf Biberkt gelegen. — Dieses Dorf nebst den schon angeführten Dörfern Dudarnkwakt, Aslankt, Laukt, Tramkt, Ketscheje, Klitschk und das Dorf Dschentemirkt (*Жентемиркт*) das an der Kuma der Russen, den die Tataren

\* P. I. оц. 100, № 12, т. 1—606.

<sup>1</sup> აქვე ვვერდზეა მიწერილი: daselbst der Fürst Islam, und seine nogaische Untertane, der Horde Mursa-Bek aul.

<sup>2</sup> „und noch höher — Хирпискит“ — გადახზულია სხვა ფერის მელნით, გიულდენ-შტედტის ხელით.

<sup>3</sup> აქვე ვვერდზეა ჩანატებული: und zwischen dem und dem Kuban viele steinerne Kreuze.

მდინარე ყუბანს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, მიმდევრობით, აღმოსავლეთის მხრიდან ერთიან შემდეგი პატარა მდინარეები: 1) კოიდენი; 2) ჯეხანესი; 3) ჯეგოთა, რომლის აღმოსავლეთ მხარეზე იშლება ქვის მკაცრი დიდებული ბუნება (weidliche Riesen-Natur), რომელსაც ეძახიან ელტერკაჩი-ს; 4) უჩქული, რაც თათრულ ენაზე სამ გლესს (მონას) ნიშნავს; 5) კალმურზა-ჯილგასი; 6) მარა, რომელზეც დევს მხარე ალთიქესეკ აბაზას კუთვნილი სოფელი ყლიჩქთ-ი<sup>1</sup>. — ამას მოსდევს 9) თვით მდ. ყუბანი, რომელსაც აბაზინელები ყუბინს, ხოლო ჩერქეზები ფსიუს, ე. ი. ძველ წყალს ეძახიან. მის სათავეებთან არის ბასიანეთის კუთვნილი თათრული მხარე ყარაჩაი; მის დასავლეთით, აბაზაური მხარე შჩაინა და უფრო ზევით მთაში, სვანეთის მოსაზღვრე აბაზაური მხარე ხრიფსქითი<sup>2</sup>. ქედის ძირში, იქ სადაც ყუბანი ამ ქედიდან გამოდის, არის ალთიქესეკის კუთვნილი სოფელი ქეჩია და მის მოპირდაპირე მხარეზე ქვის ძველი ეკლესია.

ახლა [დავასახელოთ] ყუბანის დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის შენაკადები, ასევე რიგის მიხედვით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ: 10) თებერდა, რომელზეც დევს აბაზინური სოფელი ტრამქთი<sup>3</sup>; 11) შაუნა; 12) კარდანიხი, მასზე აბაზინური სოფელია — ლაუქთი; 15) ხსაუთი, რომელიც აღმოსავლეთიდან ერთვის მდ. კიჩი ინჯიკს და რომელზეც მდებარეობენ აბაზინური სოფლები ასლანქთი და დუდარუყვაქთი; 16) მარუხი, რომელიც აგრეთვე აღმოსავლეთიდან ერთვის კიჩი ინჯიკს და მასზე აბაზინური სოფელი ბიბერ [დ]ქთი დევს. — ეს სოფელი, აგრეთვე უკვე ხსენებული სოფლები: დუდარუყვაქთი, ასლანქთი, ლაუქთი, ქეჩია, ყლიჩქთი და სოფ. ჯანთემირქთი, რომელიც დევს რუსების მიერ კუმა-დ წოდებულ [მდინარეზე] (რომელსაც თათ-

\* რადგან ამ თავში უხვი ცნობებია დაცული ჩრდილო კავკასიის ხალხთა პოლიტიკური გეოგრაფიის შესახებ, ამდენად ისიც მოვითავსეთ აკადემიისადმი გაგზავნილ მოხსენებათა რიგში—გ. გ.

<sup>1</sup> აქვე გვერდზეა მიწერილი: აქ [არიან] თავადი ისლამი და მისი ნოღაელი ქვეშევრდომები, მურზაბეკაულის ურდოდან.

<sup>2</sup> „და უფრო ზევით—ხრიფსქითი“ — გადახაზულია სხვა ფერის მელნით, გიულდენშტედტის სახელით.

<sup>3</sup> აქვე გვერდზეა ჩამატებული: „მასა და ყუბანს შორის ბევრია ქვის ჯვრები“.



Ulu Kum, die Tscherkessen Gum Ischgo und die Abasiner Gum du, d. i. die grosse Kuma, nennen, gelegen und das Dorf Babukt, das am Balk, der Tscherkessen, oder an der Malka der Russen, bei dem Austritt aus dem Gebürge gelegen, machen den Distrikt aus, den die Tscherkessen und Tatar: Alte Kesek, d. i. Sechs Stücke oder Teile und die Einwohner selbst Tapanta, nennen. Man pflegt auch den Distrikt Altekesek Abasa zu nennen, weil diese Familien, so wie die vorher unter № 9 angeführten in Schtschaina und Chirpiskit, aus der Provinz Abasa von der Küste des schwarzen Meeres hierher gezogen sein sollen. Ihre Sprache ist daher auch die Abasinische, die von der Tscherkessische[n] ganz verschieden, doch offenbar mit derselben eine Mutter haben mus. Es ist izt dieser ganze Distrikt den Fürsten der grossen Kabarda untertan und zinsbar, und besonders die an der Malka und Kuma gelegene[n] Dörfer sind mit den Kabardinern so vermischt, daß fast die Abasinische Sprache von der tscherkessischen verdrängt ist.

17) Der Flus Kitschi Indschik, oder Dschenschik (*Кичи Инжикъ* oder *Жениикъ*) der Tatar; Indschik tzuk (*Инджикъ тцукъ*) der Abasiner.

18) Der grosse Flus Ulu Indschik, der Tatar; Indschik Ischho (*Инжикъ тцхо*) der Tscherkessen, und (*Инжикъ ду*) Indschik du, der Abasiner. Dieser Flus macht die westliche Gränze des Distrikts Altekesek.

19) Der Bach Inal, der in die Ostseite des folgenden fällt.

20) Der grosse Flus Uarp (*Уаръ*), der dortige Völker, den die Russen Arpa zu nennen pflegen, an den im Gebürge der Abasinische Distrikt Psilbaripsch (*Псилбарипсхъ*), den die Tataren Baschilbai nennen, gelegen; der an 1000 Familien stark ist, welche den Fürsten der grossen Kabarda untertan sind und zu 2 (თუ „9“ — გ. გ.) Schaaf iärlicher Tribut geben. Höher im Gebürge in der Gegend der Ursprünge des Uarp ist der Abasinische Distrikt Kachkat (*Качкатъ*) gelegen.

21) Der Bach Kitschi Gegena, der Tatar, und Gegena tzuk (*Гегена тцукъ*) der Tscherkessen.

22) Der Bach Ulu Gegena der Tatar, oder Gegena Ischgo der Tscherkessen. (\*გვერდზე ჩამატებული: Der Bach Gups, der unter Chods in der Laba Ostseite fällt, an den das abasinische Dorf Barakai gelegen).

23) Der Bach Chods (*Ходъ*). (\*გვერდზე ჩამატებული: an dem das abasinische Dorf Schegraia).

24) Der Bach Kitschi Laba, der Tatar, und Laba tzuk, der Tscherkessen, d. i. die kleine Laba.

24) Der grosse Flus Ulu Laba, der Tatar, Laba Ischgo, der Tscherkessen, an dem im Gebürge der Tscherkessische Distrikt Beslen (*Беслен*); gelegen und an den in der Ebene Kubanische Tatar in Häusern wohnen, mit denen in dem izzigen Kriege der General v. Medem zu tun gehat und die im Jare 1771 geschlagen wurden und sich für Russische Untertanen angaben.

რები ულუ კუმ-ს, ჩერქეზები გუმ იშგოს და აბაზინელები გუმ დუ-ს, ესე იგი დიდ კუმას ეძახიან) და სოფელი ბაბუქთი — ჩერქეზების ბალყ-ზე, ანდა რუსების მალკაზე მდებარე, იქ, სადაც ეს მდინარე მთიდან გამოდის, [ეს სოფლები] ჰქმნიან მხარეს, რომელსაც ჩერქეზები და თათრები ეძახიან ალთი ქესეკს, ე. ი. ექვს ნაწილს ანდა ცალს და თვით მცხოვრებნი ტაპანტას უწოდებენ. ზოგჯერ მხარე ალთი-ქესეკს აბაზასაც უწოდებენ, რადგან ეს ოჯახები, როგორც ზევით № 9-ად ხსენებულ შაინასა და ხრიფსქითში, პროვინცია აბაზადან, შავი ზღვის ნაპირებიდან უნდა იყვნენ აქ გადმოსულნი. ამიტომ მათი ენა არის აბაზინური, რომელიც ჩერქეზულისგან მთლად განსხვავდება, თუმცა უდავოდ მასთან ერთად საერთო ფუძე უნდა ჰქონდეს. ამჟამად მთელი ეს მხარე ემორჩილება და გადასახადს უხდის დიდი ყაბარდოს მმართველს და განსაკუთრებით მალკასა და კუმაზე მდებარე სოფლები ისეა შერეული ყაბარდოელებთან, რომ აბაზინური ენა თითქმის განდევნილია ჩერქეზულისგან.

17) მდ. კიჩი ინჯიკი, ანუ ჯენჯიკ, როგორც მას თათრები ეძახიან; ინჯიკ წუქ — აბაზელებისა.

18) დიდი მდინარე ულუ ინჯიკი, თათრების; ინჯიკ იშგო — ჩერქეზების და ინჯიკ დუ — აბაზინელების. ეს მდინარე კმნის მხარე ალთი-ქესეკის დასავლეთ საზღვარს.

19) მდ. ინალი, რომელიც შემდგომს აღმოსავლეთიდან უერთდება.

20) დიდი მდინარე უარპი [=ურუფი], როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებნი ეძახიან, რუსები კი არპა-ს უწოდებენ; მასზე მთებში არის აბაზინური მხარე ფსილბარი ფში, რომელსაც თათრები ბაშილბაის უწოდებენ; აქ ცხოვრობს 1000 ოჯახი; ისინი ემორჩილებიან დიდი ყაბარდოს მთავარს და წლიურად 2 (თუ 9-ს?) ცხვარს აძლევენ. უფრო ზევით მთებში, უარპის სათავის მიდამოებში არის აბაზინური მხარე ქიახქითი.

21) მდინარე კიჩი გეგენა, თათრებისა; გეგენა წუქ — ჩერქეზებისა.

22) მდ. ულუ გეგენა, თათრებისა, ან გეგენა იშგო ჩერქეზებისა (\*გვერდზე ჩამატებულია: მდ. გუფსი, რომელიც ხოდის ქვემოთ ერთვის ლაბას აღმოსავლეთიდან; მასზე ძევს აბაზინური სოფელი ბარაყაი).

23) მდ. ხოდი (\*გვერდზე ჩამატებულია: მასზე ძევს აბაზინური სოფელი შეგრაია).

24) მდ. კიჩი ლაბა თათრებისა; ლაბა წუქ — ჩერქეზებისა; ნიშნავს პატარა ლაბას.

24) დიდი მდინარე ულუ ლაბა — თათრებისა; ლაბა იშგო — ჩერქეზებისა; მასზე მთებში მდებარეობს ჩერქეზული მხარე ბესლენი, ხოლო დაბლობზე ყუბანელი თათრები სახლებში ცხოვრობენ, რომლებთანაც ამ ომში გენერალ ფონ მედემს საქმე ჰქონდა; ისინი 1771 წელს დამარცხდნენ და რუსეთს დაემორჩილნენ.

In diese Westseite fallen die Bäche

25) Pšfir, und Blansu (*Блансу*). (\* აქვე ვვერდზე ჩამატებული: und Amdurk, an dem die abasinische[n] Dörfer Tam und Kisilbek gelegen).

26) Der Bach Schochreg, an dem die Kubansche Tatar, die Nawrns genant werden, wonen.

27) Der grosse Flus Sch'hagwascha, an dem im niedern Gebürge und am Fus desselben der grosse tscherkessische Distrikt Temirgoi gelegen, und höher im Gebürge der kleine tscherkessische Distrikt Mamschach (*Мамуаша*) und dem Distrikte Mamschach gegenüber in W. liegt an einem kleinen in den Sch'hagwascha fallenden Flus, der Abasinische Distrikt Bach, der an 300 Famil. stark. Noch höher im Gebürge ist der abasinische Distrikt Sabai, gelegen.

28) Der Flus Kutschups (*Кутчупс*), der in die Westseite des Sch'hagwascha fällt, an dem das Dorf Kanschughabla gelegen, welches zu dem tscherkessischen Distrikte Abasech (*Абасех*) gehört, deren der Älteste Hadschi (*Гаджи*) heist.

29) Der grosse Flus Pschaha (*Пшара*), an dem niedriger als das vorhergehende, das zu Abasech gehörige Dorf Dschanketahabla, gelegen, welches sich an 5 Werst an der Ostseite und an 20 Werst an der Westseite erstreckt, weil die Familien einzele im Walde wonen, deren Ältester Arslanbeg Chirsishukor (*Хирсисхукор*). Hierauf folgt weiter (\* აქვე ვვერდზე არის მონაწერო: In der Ebene an Pschaha ist das tscherkessische zu Temirgoi gehörige grosse Dorf Adimei gelegen). Westlich das zu Abasech gehörige Dorf Daurhabla, und noch weiter Eteghabla, die beide an kleinen Flüssen gelegen, die teils zum Pschaha, teils zum Kuban fliessen; in ienem ist Ältester Daur Bagurzug, in diesem Hadchuchahapach.

21) Der Flus Sadschi (*Сажу*), der in die Ostseite des folgenden fällt und an dem das Abasechische Dorf Sadschi Kokusch, gelegen.

22) Der grosse Flus Chuadsch (*Хуаю*), an dem liegt in der Ebene der tscherkessische Distrikt Bdscheduch (*Бждух*); im mittleren Gebürge das Abasechische Dorf Kantschughabla und im höchsten Gebürge der abasinische Distrikt Schapsuch Kokusch, d. i. abasaisch ober Schapsuch.

Noch höher im Gebürge dem Ursprunge des Chuadsch entgegengesetzt soll ostlich der abasaische Distrikt Tubi, und von dem nach W. durch ein kleines Jugen geschieden der abasaische Distrikt Ubuch, gelegen sein. Diese und die vorher angeführte abasaische Distrikte Sabai und Kachkat, scheinen mir, so viel ich einige Angaben schliessen kann, nicht an den in den Kuban fallenden Flüssen, sondern hinter deren südlich, also wol am Kapety, der seine eigene Mündung zum schwarzen Meere hat, gelegen zu seien.

23) Der kleine Flus Chotups, an den der abasechische Distrikt Besschuchhabla gelegen, deren Ältester Kostanucha und Pschukui,

მას დასავლეთიდან უერთდებიან მდინარეები:

25) ფსფირი და ბლანსუ (\*აქ გვერდზე ჩამატებულია: და ამდურყი, რომელზეც მდებარეობენ აბაზინური სოფლები ტამი და ყიზილბეკი).

26) მდ. შოხრევი, რომელზეც ცხოვრობენ ნავრუზად წოდებული ყუბანელი თათრები.

27) დიდი მდინარე შაგვაშა, რომელზეც დაბალ მთიანეთში და მის ძირას მდებარეობს დიდი ჩერქეზული მხარე თემირგოი. ხოლო ზევით მთაში პატარა ჩერქეზული მხარე მამხევი; ამ მხარის პირდაპირ კი დასავლეთით, შაგვაშას პატარა შენაკადზე ძვეს აბაზინური მხარე ბალ-ი, სადაც ცხოვრობს 300 ოჯახი. კიდევ უფრო მაღლა მთებში არის აბაზინური მხარე საბაი.

28) მდინარე კუჩუფსი, რომელიც დასავლეთიდან ერთვის შაგვაშას. მასზე არის სოფელი კანშუგაბლა, რომელიც ეკუთვნის ჩერქეზულ მხარე აბაძეხს, რომლის მმართველსაც ჰაჯი ჰქვია.

29) დიდი მდინარე ფშაპა. მასზე, წინათ დასახელებულზე უფრო დაბლა, ძვეს აბაძეხის [მხარის] სოფელი ჯანკეტაბლა, რომელიც გადაჭიმულია 5 ვერსზე აღმოსავლეთით და 20 ვერსზე დასავლეთით, რადგან მისი ოჯახები სათითაოდ დაფანტულად ცხოვრობენ ტყეში. მათი უფროსია არსლანბეგ ხირსის-პუყო(რ)ი. შემდეგ მოსდევს (\*აქ გვერდზე არის მინაწერი: ფშაპას დაბლობზე არის თემირგოის [მხარის] კუთვნილი ჩერქეზული დიდი სოფელი ადიმეი): დასავლეთით [ძვეს] აბაძეხის [მხარის] სოფელი დაურაბლა და კიდევ შემდეგ ეთევიპაბლა. ორივენი მდებარეობენ პატარა მდინარეებზე, რომელთაგან ზოგი ფშაპას, ზოგიც ყუბანს ერთვიან; პირველში უფროსია დაურბაგურსუყი, მეორეში ჰადხუხაპაფაში.

21)<sup>1</sup> მდ. სადში, რომელიც მომდევნოს აღმოსავლეთიდან ერთვის. მასზე ძვეს აბაძეხური სოფელი საჯი კოკუში.

22) დიდი მდინარე ხუაჯი; რომლის დაბლობზეც მდებარეობს დიდი ჩერქეზული მხარე ბეიდუხი; შუა მთებში — აბაძეხური სოფელი კანჩუგაბლა, ხოლო სულ მაღლა მთებში [მდებარეობს] აბაზინური მხარე შაფსულ კოკუში. ე. ი. აბაზურად „ზემო შაფსული“.

კიდევ უფრო ზევით მთებში, ხუაჯის სათავეების საპირისპიროდ, აღმოსავლეთით უნდა იყოს აბაზური მხარე ტუბი, მისგან დასავლეთით კი — პატარა ქედით გამოყოფილი უნდა იყოს აბაზური მხარე უბიხი. ეს და ზემოთ ნახსენები აბაზური მხარეები საბაი და ჭიხჭითი, ჩემის აზრით (რამდენადაც ზოგიერთი მონაცემები მაძლევენ საშუალებას ვიფიქრო), უნდა მდებარეობდნენ არა ყუბანის შენაკადებზე, არამედ მათ ქვემოთ სამხრეთისკენ, სახელდობრ, კაპეტზე, რომელიც უშუალოდ ერთვის შავ ზღვას.

23) პატარა მდინარე ხოთუფსი, რომელზეც მდებარეობს აბაძეხური მხარე ბეშუხაბლა, მისი უფროსები [არიან] კოსტანუყუა და ფშუყუა.

<sup>1</sup> დედნის მიხედვით ვერ ვავარკვიებ. თუ რის საფუძველზე მოსდევს № 29-ს № 21. (გ. გ.).



24) Der grosse Flus Pschochups, an dem im Gebürge der abasechische Distrikt Edegihabla, und am Fusse des Gebürges die abasinische Distrikte Chirpis, und in der Ebene der tscherk. Distrikt Hatnkai, gelegen.

25) Der kleine Flus Saschi (Засу), an den der abasechische Distrikt Najuchabla liegt.

26) Der Flus Chursa (Хурса), an dem in der Ebene der Tscherkessische Distrikt Bdschana (Бжана), im niedern Gebürge der abasische Distrikt Chursa, und im hohen Gebürge der abasische Distrikt Schapsuch Ache, d. i. Nieder-Schapsuch gelegen, der contracte auch Schagache, auch Achsepsch genant wird, auch Schapsich und Schapso; sollte dies vielleicht die Apsili Constantini oder vielmer die Sapaxi, seien; sie wonen ehemals nordlicher am Fus des Gebürges und nahe am schwarzen Meere; von da sie sich nur neuerlich um den krimische Herrschaft zu entgehen...

Von hier bis zu den kleinen am schwarzen Meere gelegene Stadt Sotschuk Kala (Золуць каля), 4 Stunden nach W. daselbst ein Hafen und eine ekkigte Ringmauer, die etwas 100 Hauser einschliet, die Bewoner Abasiner.

Onweit der Mündung der Chursa theilet sich der Kuban in 2 Arme, der eine zum Asovischen Meere, der andere zum schwarzen Meere gehet; in dem Teilungswinkel ist die Vestung Kopol gelegen, deren Einwoner auch Tscherkessen sind, nebst einigen Tatar. Dies ist gemeinigl. der Sizz eines von Crimmischen Chan bestellten Seraskiers, der diese verschiedene izt beschriebene tscherkessische und abasische Völker der Pforte zugetan erhält, und von manchen auch Abgaben an Vieh und Menschen einnimt.

.....  
Von Kopol nach O. ist Bgeduch anderthalb und Temirgoi drei Tagreisen, nach N. W. ist Taban oder Taman an der Meerenge auf 3 Tagreisen, dahin der Weg auf den Insel[n] geht, die die Arme des Kubans machen, und die Mintana genent wird (\*<sup>1</sup> აქ ვერღვზე ჩამატება: und die Bewoner dieser Insel werden von den Tatar Adalé und davon von den Russen Adalinzy genant, die ist: Insulaner, von Ada, eine Insel).

In Taman sowol, als in Temruk, das die Abasiner Turk nennen, so viele Tscherkessen, wenig Tatar. Die, so wie alle die übrige izt angeführte und tscherkessisch genante Distrikte, den Temirgoischen Dialekt der tscherkessischen Sprache und den, der von dem Kabardinischen merklich unterscheiden(?).

Man mus daher die ganze Provinz am Fus des Caucasischen Gebürges von der Mündung des Kuban, bis zu der Mündung der Malka in N. und bis zu dem in die Sundscha fallenden Bache Narsan in S. Tscherkessia nennen; Tscherkes oder Tscherges nenen die Tatar diese Nation; die Georgier nenen sie Tscherkasiani; die Osetier nenen sie Kasach, wel-



24) დიდი მდინარე ფშოხუფსი; მასზე, მთებში ძვეს აბაძეხური მხარე ედიგოჭაბლა, ხოლო ქედის ძირას — აბაზინური მხარე ხირფისი; დაბლობზე კი — ჩერქეზული მხარე ჰატუკაი.

25) პატარა მდ. ზაში. მასზე არის აბაძეხური მხარე ნაიუხაჭაბლა.

26) მდ. ხურსა, რომლის დაბლობზეც მდებარეობს ჩერქეზული მხარე ბეანა, დაბალ მთებში აბაზაური მხარე ხურსა, ხოლო მაღალ მთებში აბაზაური მხარე შაფსულახე, ე. ი. დაბალი შაფსული; მას შემოკლებით აგრეთვე ჰქვია შაგახე, ასევე ახსენებენ, ან შაფსილ და შაფსო; ეს უნდა იყოს კონსტანტინეს აფსილები, ან უფრო მეტად საპაქსები; უწინ ისინი ცხოვრობდნენ უფრო ჩრდილოეთით, ქედის ძირას და შავი ზღვის ახლოს; იქიდან ისინი სულ ახლახან გაეცალნენ ყირიმის ბატონობას.

ამჟამად, აქედან შავ ზღვაზე მდებარე პატარა ქალაქ სუჯუკ-ყალამდე 4 საათის [სავალია] დასავლეთით; აქ არის ნავსადგური და ოთხკუთხა კედელი, რომელიც მოიცავს 100-მდე სახლს; მოსახლეობა აბაზინელებია.

ხურსას შესართავიდან ახლოს ყუბანი იყოფა ორ ტოტად, რომელთაგან ერთი აზოვის ზღვისკენ, ხოლო მეორე შავი ზღვისკენ მიედინება; გაყოფის (განტოტვის) ადგილას დგას ციხე კოპილი, რომლის მცხოვრებთაც შეადგენენ აგრეთვე ჩერქეზები ზოგ თათრებთან ერთად. ჩვეულებრივ ეს არის საჯდომი ყირიმის ხანის მიერ დანიშნული სერასკირისა, რომელსაც ამჟამად აღწერილი სხვადასხვა ჩერქეზული და აბაზაური ხალხები პორტას ერთგულებაში ჰყავს, ხოლო ზოგისგან იღებს ხარკს საქონლის და ხალხის სახით<sup>1</sup>.

.....

კოპილიდან აღმოსავლეთით არის ბეედუხი ერთნახევარ, ხოლო თემირგოი სამი დღის სავალზე, ჩრდილო-დასავლეთით კი არის ტაბანი, ანუ ტამანი ზღვის სრუტესთან, 3 დღის სავალზე, იქითკენ გზა მიდის კუნძულებზე, რომელსაც ყუბანის ტოტები ჰქმნიან და ეწოდებათ მინტანა (\*აქვე გვერდზე ჩამატება: ამ კუნძულის მცხოვრებნი თათრების მიერ იწოდებიან ადალე-დ, რუსებისგან კი ამის მიხედვით ადალინცი-დ; ეს ნიშნავს კუნძულელებს [სიტყვა] ადა-დან, ე. ი. კუნძული).

ტამანში, როგორც ტემირიუკში, რომელსაც აბაზინელები თურყ-ს ეძახიან, ასევე ბევრი ჩერქეზები და ცოტა თათრები [ცხოვრობენ]. როგორც ყველა დანარჩენები, ახლა ჩამოთვლილი და ჩერქეზულად წოდებული მხარეები [ლაპარაკობენ] ჩერქეზული ენის თემირგოულ დიალექტზე, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ყაბარდოულისაგან.

ამიტომ მთელ პროვინციას კავკასიის ქედის ძირში [მდებარეს], (ყუბანის შესართავიდან მაღკას შესართავამდე ჩრდილოეთით და სუნჯას შენაკად ნარზანამდე სამხრეთით) ჩერქეზეთი უნდა ეწოდოს; ამ ხალხს თათრები ეძახიან „ჩერკეს“-ს ან „ჩერგეს“-ს, ქართველები — „ჩერქეზიანი“-ს, ოსები — „ყაზახ“-ს,

<sup>1</sup> შემდეგ მოსდევს აქ მცხოვრები „ნეკრასოველი კაზაკების“ სამი სტანიციის აღწერა. ჩვენ მას ვტოვებთ (გ. გ.).

ches vielleicht auch zu K. Constantins Zeiten bei den Griechen ihr Name war; der diese Gegend Kasachia benannt; und sie selbst nennen sich in ihrer Sprache Adige.

An den westlichsten Teil dieser Provinz Tscherkessia gränzt in Süden, im Gebürge liegend, und weit nach S. längst der Meerküste sich bis Mingrelien ausdehnend, die etwas durch die Sprache verwand[te] Provinz Abasader Tataren und Tscherkessen, die in der Landessprache Absue (*Абсуе*); bei den Georgiern Abchaseti heist, und die wol Abasgia des K. Constantins seien mag, an deren statt einige neuere Chartre Awchasia haben und Awchasia minor oder *Малая Абаса* der Russen die man in einigen Karte an der Kuma findet, füret von den von angeführten, hieher von den Tscherkessen versezte Abasaische Dörfnern her, die Altekesek genant werden. Abchasebi einiger Landkarten ist der georgische Plural von Abchasi, ein Abaser. Papageti und Alaleti, die offenbar von Papagi und Alani des Kaisers herkam, sind noch izt bei den Georgiern bekante Benennunge[n], die nach ihrer Sage, einige Distrikte von Abchaseti zukommen sollen, von den ich aber nie etwas bestimmtes habe erfahren können. Der auf den Landkarten einzufürende Name dieser Provinz könnte Abasa oder Abchasetia seien, welches letzter besser scheint, da Abchaseti schon eine in den Georgischen Chroniken vorkommende Benennung ist. Man sehe meine Nachrichte in übrigen, die (die) bei Mingrelia von Abchaseti angebracht.

Der izt unter dem Namen Abasech bekannte Distrikt, der an den Flüssen Kutschups, Pschaha, Huadsch, Chotups und Saschi gelegen und dessen Dörfer ich vorher bei diesen Flüssen angeführt, mus der Sprache wegen mer zu Tscherkessia, als zu Abchasetia gezält worden.

Abchasetia hatte in alten Zeiten seinen eigener Beherrscher und stand nachher lange unter den Georgischen Zaren, die sich Abchasetissa und Kartwelissa Mepe nanten; unter deren Regierung ward auch zur griechisch-christl. Religion das Volk bekeret, so daß so gar in Bytschwinta ein Patriarch war und an verschiedenen Orten Erzbischöfe, als in Mokwi, Dranda und dergl. Nachdem das Volk die georgische Herrschaft ganz von sich abgelenkt, ist auch die christl. Religion in ganzl. Verfall bei inen, so wie in Basiania, Osetia und Kistetia gekommen. Das Halten der Grossen Fasten, das Schweinfleisshessen, die Feier des Sontages und die Überbleibsel einiger Kirchen, sind indes noch die Spuren davon, daß die änliche Zeichen des Kristentums, die man bei den Tscherkessen findet; dazu uoch die Steinkreuze, die man aus Grabmale an der Kuma und am obern Kuban findet, gehören, auch von den Georgier herrinen ist warscheinlich, wozn auch, besonders in der Kabarda, die Russen zu Zeiten des Zaren Iwan Wasiliewitsch magen Gelegenheit gegeben haben, welches besonders in Ansehung der bei Tatartuh befind[.] Kirche zu vermuten. Izt leben beide diese zahlreiche Nation[en] fast ganz one Herren und one Religion und sind in kleine Partien zerteilt, die sich selbst unter einander auftreiben.

როგორც ალბათ ასევე ერქვა მას ბერძნებთან იმპ. კონსტანტინეს დროს, რომელიც ამ მხარეს ყაზახიას ეძახის; თავის თავს კი, თავიანთ ენაზე „ადილე“-ს უწოდებენ.

პროვინცია ჩერქეზეთის დასავლეთ ნაწილს სამხრეთიდან ესაზღვრება მთაში მდებარე და სამხრეთით ზღვის სანაპიროს გასწვრივ სამეგრელომდე გადაჭიმული და ენით ცოტათი მონათესავე პროვინცია აბაზა (როგორც მას თათრები და ჩერქეზები ეძახიან), ადგილობრივ ენაზე კი აფსნეს, ხოლო ქართველები აფხაზეთს უწოდებენ. ეს უნდა იყოს იმპ. კონსტანტინეს აბაზგია (რომლის მაგივრადაც ზოგიერთ ახალ რუკაზე აფხაზია სწერია), ანდა მცირე აფხაზია ანუ Малая Абазга რუსებისა, რაც ზოგ რუკაზე მდ. კუმბუჯა აღნიშნული და ჰქვია ჩერქეზების მიერ აქ გადმოსახლებულ აბაზურ სოფლებს, რომლებიც ალთიქესეკი-ს სახელითაა ცნობილი. ზოგი რუკის აფხაზები არის ქართული მრავლობითი „აფხაზი“-სა, ე. ი. აბაზელისა. პაპაგეთი და ალაღეთი, რაც ცხადად იმპერატორის [კონსტანტინეს] პაპაგისა და ალანისგან მომდინარეობს, ახლაც ცნობილი სახელწოდებებია ქართველებში, რომლებიც, მათი გადმოცემის მიხედვით, აფხაზთა ზოგი მხარის მიხედვით უნდა წარმოსდგებოდეს, რის შესახებაც მე გარკვევით ვერაფერი შევიტყვე. რუკებზე შესატანი სახელი ამ პროვინციისა უნდა ყოფილიყო აბაზა ან აფხაზეთი, რომელთაგან უკანასკნელი უკეთესად მეჩვენება, რადგან სახელწოდება აფხაზეთი ჯერ კიდევ ქართულ ქრონიკებში გვხვდება. დანარჩენი ცნობების ნახვა იქ შეიძლება, სადაც სამეგრელოსთან ერთად აფხაზებზეა ლაპარაკი.

ამჟამად აბაძეხის სახელით ცნობილი მხარე, რომელიც მდებარეობს მდინარეებზე — კუჩუფსზე, ფშაპაზე, ჰუაჯზე, ხოთუფსზე და ზაშზე და რომლის სოფლებიც ზევით დაეასახელე ამ მდინარეთა [ჩამოთვლისას], ენის მიხედვით უფრო მეტად ჩერქეზეთს უნდა მიეკუთვნოს, ვიდრე აფხაზეთს.

ძველად აფხაზეთს ჰყავდა საკუთარი მმართველი და მას შემდეგ დიდი ხანს ემორჩილებოდა ქართველ მეფეებს, რომლებიც თავის თავს „აფხაზეთისა და ქართლის მეფეს“ უწოდებდნენ; მათი მმართველობის დროსვე მოიქცა ხალხი ბერძნულ-ქრისტიანულ რელიგიაზე, ისე რომ ბიჭვინთაშიც კი იჯდა პატრიარქი, ხოლო სხვადასხვა ადგილებში მთავარეპისკოპოსები, როგორც მაგ.: მოქეში, დრანდაში და სხვაგან. მას შემდეგ, რაც ხალხი მთლიანად გამოვიდა საქართველოს მორჩილებიდან, აგრეთვე ქრისტიანული რელიგიაც მთლად გაქრა მათ შორის, ისე როგორც ბასიანეთში, ოსეთსა და ქისტეთში. თუმცა დიდმარხვა, ღორის ხორცის ჭამა, კვირა დღეს უქმობა და ზოგი ეკლესიის ნანგრევები ჯერ კიდევ არიან ნაშთები ქრისტიანობისა, ისევე როგორც ჩერქეზეთში. მსგავსი ნიშანი ქრისტიანობისა არის ქვის ჯვრები საფლავებზე (მდ. კუმასა და ყუბანის ზემო დინებაზე). ესეც ქართველთა მიერ უნდა იყოს შეტანილი, სადაც აგრეთვე (ძირითადად ყაბარდოში) რუსებმა მეფე ივანე ვასილის ძის დროს ამის საშუალება შექმნეს, რასაც გვაფიქრებინებს თათართა ბატონობის ხანაშიც იქ მყოფი ეკლესიები. ახლა ეს ორივე მრავალრიცხოვანი ხალხი ცხოვრობს თითქმის უბატონოდ და რელიგიის გარეშე და დაყოფილი არიან პატარა ჯგუფებად, რომლებიც ერთმანეთს ექიშებიან.

Die Sprache beider Nation[en] ist von den benachbarten und andern bekannten ganz verschieden; unter sich aber vergleichen, siehet man das die abasaische oder abchasetische Sprache mit der Tscherkessische[n] Ähnlichkeit und folglich eine Abstammung habe. Die Tscherkessische Nation ist in allen gesitteter, als die abchasetische; die Tscherkessen leben in grossen Dörfer[n], in Häuser[n] zusammen, ziehen aber ofte von einem Orte zum andern nach 5 oder 10 Jaren über; wen sie die ausgemergelte Felder und verbrante Wälder dazu nötigen. Die Abasetier leben in einzelnen Familien im Walde zerstreut, wie in Mingrelia und Imeretia. Die Tscherkessen bauen nur allein Hirsen; die Abasetier nur Gomi, welches sie Haschase und Pokosch nennen; nur im hohen gebürgigten Orten wird etwas Sommerweizen und Gersten gesät. Die Kleidung ist bei beiden Nation[en] gleich; nur tragen die Abasetier die Rökke kurzer, und die nahe an Mingrelia stossen tragen auch Imeretische Mützen.

Die Armerer treiben unter diesen Nationen Handel; zu den Tscherkessen und zu den nordl. Teile des Abasetier bringen sie grobe russische Leinwand, Saffian und Krimmische baumwollene und seidene Zeuge und tauschen sie um gegen Honig, Wachs, Fuchse, Marder, Grobe-Tuchrokke und Filzmäntel, davon sie (wen) irer 4 Stücke nach der Krim, die letzten 2 besonders nach Kislar und zum Don fhren. Der Buxbaum ist in der Abasa ser häufig, den die Türken zur See abholen (\* გვერდზე მიწერილია: Der südliche Teil von Abchasetia hat mer. mit Mingrelia Gemeinschaft).

### Von der Provinz Basiania

An dem nordlichen Teile der kaukasischen Alpen, zwischen den Flüssen Argudau oder Arguan und Kuban wohnt eine Nation, die offenbar von den Nogaischen Tatarern abstammt und sich vermutlich, um sich gegen Verfolgungen der Nachbarn zu retten, in diese festen Oerter im Gebürge begeben hat. Die Sprache, die der nogaische Dialekt der tatarischen ist, giebt hievon den gewissesten Beweis; daß diese aber eine angenommene seien sollte ist deswegen nicht worscheinlich, weil die benachbarten, alle ganz verschieden sind, dahin die tscherkessische, die abasinische, die Sonische, die georgische und die osetische gehören.

— Es wird diese Nation in 6. Distrikte eingeteilt. Der erste Distrikt heist bei der Nation: Malkar; bei den Tscherkessen: Balkar und bei den Georgiern: Basiani. Hievon wohnt der kleinste Teil an dem Flusse Arguan oder Argudan, und der gröste an dem Flusse Tscherek. Die nächsten Nachbarn in O. sind Dugoren am Uruch; in S. das Dorf Chebi des Distrikts Radscha; und in N. der Teil der grossen Kabarda, der Kaschkatau genant wird. Es soll diese Distrikt an 1000 Familien stark seien, die in verschieden[en] kleine[n] Dörfern verteilt sind, unter denen die vornehmsten:



ორივე ხალხის ენა მეზობელთაგან და სხვა ცნობილ ენათაგან სავსებით განსხვავებულია; თუმცა ერთმანეთისგანაც გამოირჩევიან, მაინც ჩანს, რომ აბაზაურს ანუ აფხაზურ ენას აქვს მსგავსება ჩერქეზულთან და, ამდენად, აქვთ ერთი წარმომავლობა. ჩერქეზი ხალხი ყოველმხრივ უფრო შეგნებულია, ვიდრე აფხაზები; ჩერქეზები ცხოვრობენ დიდ სოფლებში, კომლებად, მაგრამ ხშირად, 5—10 წელში ერთხელ, გადადიან ადგილიდან ადგილზე, როცა ისინი იძულებული ხდებიან მიატოვონ გამოფიტული ველები და გადამწვარი ტყეები. აფხაზები ცხოვრობენ ტყეში ცალკე ოჯახებად გაბნეულნი, როგორც სამეგრელოში და იმერეთში. ჩერქეზებს მოჰყავთ მხოლოდ ფეტვი; აფხაზებს კი — ღომი, რასაც ისინი უწოდებენ ჰაშასე-ს და პოკოშ-ს(?); მხოლოდ მაღალმთიან ადგილებში თესენ მცირე რაოდენობით საგაზაფხულო ხორბალს და ქერს. ჩასაცემელი ორივე ხალხს ერთნაირი აქვს; მხოლოდ აფხაზები ატარებენ უფრო მოკლე ჩოხებს, სამეგრელოსთან ახლო მცხოვრებნი კი — აგრეთვე იმერულ ქუდებს.

ამ ხალხში ვაჭრობას ეწევიან სომხები; ჩერქეზებისა და ჩრდილოეთ ნაწილის აფხაზებისთვის მათ მოაქვთ უხეში რუსული ტილო, საფიანი და ყირიმული ბამბის და აბრეშუმის ქსოვილები და ცვლიან მას თაფლზე, ცვილზე, მელიებზე, კვერნაზე, უხეშ მაუდის ჩოხებზე და ბეწვის ქურქებზე; ოთხი პირველი ყირიმში მიაქვთ, ორი უკანასკნელი კი უმეტესად ყიზლარში და დონზე. ბზის ხე — აბაზაში ძალზე ხშირია, რომელიც თურქებს ზღვით გააქვთ. (გვერდზე მიწერილია: აფხაზეთის სამხრეთ ნაწილს მეგრელებთან უფრო მეტი საერთო აქვს).

### პროვინცია ბასიანიის შესახებ

კავკასიის ქედის ჩრდილოეთ მხარეზე, მდინარეებს არგუდანსა ანუ არგუანს და ყუბანს შორის, ცხოვრობს ხალხი, რომელიც აშკარად ნოღაელი თათრებისგანაა წარმომდგარი და, როგორც ჩანს, ამ მთებით დაცულ ადგილებში მოვიდნენ, რათა თავი ეხსნათ მეზობელთა დევნისაგან. ენა, რომელიც არის თათრულის ნოღაური დიალექტი, იძლევა ამის უტყუარ საბუთს. უამისოდ კი გაუგებარი იქნებოდა, რადგან მეზობლები ყველანი სულ სხვა [ენაზე ლაპარაკობენ] და ეკუთვნიან ჩერქეზულ, აბაზინურ, სვანურ, ქართულსა და ოსურს.

— ეს ხალხი ო მხარედ იყოფა. პირველ მხარეს ამ ხალხში ჰქვია მალყარი, ჩერქეზებთან — ბალყარი, ქართველებთან — ბასიანი. ამათი მცირე ნაწილი ცხოვრობს მდინარე არგუანზე ანუ არგუდანზე, უმეტესობა კი — მდ. ჩერქეზე. აღმოსავლეთით ემეზობლებიან დიგორები მდ. ურუხზე, სამხრეთით რაჭის სოფელი ლები, ჩრდილოეთით დიდი ყაბარდოს ნაწილი, რომელსაც კაშკათაუ ეწოდება. ამ მხარეში 1000 ოჯახი უნდა ცხოვრობდეს, რომლებიც სხვადასხვა პატარა სოფლებში არიან დანაწილებულნი. ამათგან



Tschkanta, Schauarda, Churdaira, Gobjarta, Adschalga, Mochaula oder Muchol, und Ulu Malkar heissen.

In diesem Distrikt ist eine fürstliche Familie, die von der Nation Basiat genant, von den Kabardinern dafür erkant und mit den Kabardinschen Fürsten daher verschwägert ist. Hievon scheinen die Georgier die Benennung für die ganze Nation: Basiani und des Distrikts Basianeti genommen zu haben. Die daher auch ich für den Provinzial-Namen alle-dieser Distrikte annehme.

Der 2-te Distrikt, der an Malkar gränzt, heist Bisingè, und der 3-te Cholam; ieder wird an 100 Familien stark gerechnet, die weiter in keinen besondern Dörfern lehen; sie liegen an kleinen westlichen Flüssen, die in den Tscherek fallen.

Der 4-te Distrikt ist Tschegem. Er umt im Gebürge den ganzen Flus gleiches Namens ein, der in der Ebene der grossen Kabarda, in den Baksan sich ergießt. Man hält demselben 360. Familien stark, die in 10. Dörfern zerteilt leben; das niedrigste und Hauptdorf heist: Ulu Elt; darauf folgen den Flus aufwärts: Mimala, Tobeningil, Berdebi, Atsche, Tschegot, Kam, Orsundak, Bulungu und Gerlige oder Dscherlige; und an den äussersten Ursprüngen des Tschegem liegt ein Vorwerk oder Chuter, das zur Schaafzucht dient, genant: Ustoschirt.

Gebräuchliche Mannsnamen in Tschegem sind: Ali, Mahamet, Musa, Murtasali, Dewlet, Chamsa, Schauloch, Kelemet, Baimursa; und soust andere bei den Tataren gemeine Namen.

In der Vorrede eines Cathchismi<sup>1</sup>, das in Berlin gedruckt, behauptet man, daß vor einigen 100 Jaren, einige der Bömischen oder Marischen Brüder, um den katholischen Verfolgungen zu entgehen, nach dem kaukasischen Gebürge geflüchtet und zu Anfange dieses Jahrhunderts von Berlin aus Lerer gefordert hätten. Da um die Bömer sich selbst: Zechen nennen, und der Name Tschegem diesem nahe komt und man Spuren des Christentums bei dieser Nation findet, so hat man sie für diese Bömische Brüder halten wollen. Es ist aber dies ganz unworscheinlich. Tschegem komt nicht von Zechen, sd (=sondern, 3. 3.) von Zichia Constantini und Dschiki Georgianern; die Spur des Christentums welches die vorzügliche ist, bestehet in den Fasten, die nicht von den Bömischen Brüder herrinen kam, sd ganz naturl. von den griechisch-Georgian. Bömische Brüder wurden gewis die bömische Sprache beibehalten oder eine der nächste[n] angenommen haben, nicht aber die tatarische, die dieser Nation ursprüngl. eigen.

Der 5-te Distrikt ist; Bachsau, in dem Gebürge am Flusse Bachsau gelegen, der in den Malk sich ergießt und an dem in der Ebene, vom Fus des Gebürges an die Dörfer der grossen Kabarda gelegen. Er wird 200. Familien stark gerechnet, die zusammen nur ein Dorf ausmachen<sup>2</sup>.

<sup>1</sup> დედაწმი სწერია „Cachetismi“.

<sup>2</sup> Der 5-te—ausmachen, გოულდენშტედტს ჯვარედინად აქვს გადაშლილი.

ყველაზე მნიშვნელოვანია: იშკანტა, შაუარდა, ხურდაირა, გობიაროა, აჯალგა, მოხაულა ანუ მუხოლი და ულუმალკარი.

ამ მხარეში არის თავადური გვარი, რომელსაც ხალხი ბასიათს უწოდებს. მათ სცნობენ ყაბარდოელი ბატონები და დამოყვრებულნიც არიან მათთან. ვფიქრობ, აქედან უნდა ჰქონდეთ აღებული ქართველებს მთელი ხალხისთვის სახელწოდება — ბასიანი და მხარისა — ბასიანეთი. მეც ამიტომ ავირჩიე ის მთელი აქაური მხარეების პროვინციულ სახელად.

მეორე მხარე, რომელიც მალყარს ემეზობლება, არის ბიზინგე, მესამე — ხოლამი. ორივეში 100—100 ოჯახია, რომლებიც არ ცხოვრობენ განსაკუთრებულ სოფლებში: ისინი ჩერეკში დასავლეთიდან ჩამავალ პატარა მდინარეებზე ცხოვრობენ.

მეოთხე მხარე არის ჩეგემი. მთებში ის მოიცავს იმავე სახელის მდინარეს, რომელიც დიდი ყაბარდოს დაბლობზე ბაქსანს უერთდება. აქ ითვლიან 360 ოჯახს, რომლებიც 10 სოფელში ცხოვრობენ; ყველაზე დაბალი და მთავარი სოფელია ულუ ელტი; შემდეგ მოდიან მდინარის აყოლებით: მიმალა, ტობენინჯილი, ბერდები, აჩი, ჩეგემი, კამი, ორსუნდაკი, ბულუნგუ და ჯერლიგე; ხოლო ჩეგემის ყველაზე განაპირა სათავეებში ძვეს სოფელი ანუ ხუტორი უსტოშირტი (ურუსტორ-შხიტ?), რომელიც მეცხვარეობისთვისაა გამოყენებული.

ჩეგემში გავრცელებული კაცის სახელებია: ალი, მაჰამეტი, მუსა, მურთაზალი, დევლეთი, ხამსა, შაულოხი, კელემეტი, ბაიმურზა და სხვა, თათრებში მიღებული, სახელებიც.

